ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 მაისი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 107 (14711)

მშვიდობისა და სოციალიზმის დროშით

ურღვევია საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობა. მას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულება და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა,

ადასტურებენ რა ერთგულებას საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის 1943 წლის 12 დეკემბერს დადებული და 1963 წლის 27 ნოემბერს გაგრძელებული მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპებისადმი, რომელმაც ისტორიული როლი შეასრულა ორი სახელმწიფოს ხალხთა შორის, მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მათ შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას,

ღრმად დარწმუნებული არიან რა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ურღვევი მეგობრობა, რომელიც განმტკიცებულია ერთობლივი ბრძოლით ფაშიზმის წინააღმდეგ და კიდევ უფრო გაღრმავდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წლებში, აგრეთვე მათი ძმური ურთიერთდახმარება და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, შეესაბამებიან ორივე ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ძირეულ ინტერესებს,

ადასტურებენ რა, რომ თვითეული ხალხის გმირული მეცადინეობისა და თავდადებული შრომის შედეგად მიღწეული სოციალისტური მონაპოვრების მხარდაჭერა, განმტკიცება და დაცვა სოციალისტური ქვეყნების საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა,

თანმიმდევრულად და განუხრელად ილწვიან რა სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის, რომლებსაც საფუძვლად უდევს სოციალური წყობილებისა და საბოლოო მიზნების ერთობა,

მტკიცედ აქვთ რა გადაწყვეტილი ზუსტად დაიცვან ვარშავის 1955 წლის 14 მაისის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებანი,

აღნიშნავენ რა, რომ ორივე სახელმწიფოს ეკონომიური თანამშრომლობა შეესაბამება მათს განვითარებას, აგრეთვე შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილებისა და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შემდგომ სრულყოფას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში,

გამოთქვამენ რა მტკიცე განზრახვას ხელი შეუწყონ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს, წინააღუდგნენ იმპერიალიზმს, რევანშიზმსა და მილიტარიზმს,

ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გამოცხადებული მიზნებითა და პრინციპებით,

მხედველობაში იღებენ რა ორივე ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მიღწევებს, თანამედროვე მდგომარეობასა და ყოველმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს, აგრეთვე ცვლილებებს, რომლებიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში მოხდა 1943 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების დადების შემდეგ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, რომლებიც ემყარებიან სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემას, თანასწორუფლებიანობასა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისად კვლავაც განამტკიცებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხებს შორის მარადიულ, ურღვევ მეგობრობას, განავითარებენ ორივე ქვეყანას შორის ყოველმხრივ თანამშრომლობას და გაუწევენ ერთმანეთს ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერას.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, იხელმძღვანელებენ რა ურთიერთდახმარებისა და შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების პრინციპებით, შემდგომშიც განავითარებენ და გააღრმავებენ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთსასარგებლო ეკონომიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას სახალხო მეურნეობის განვითარების, უფრო მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიღწევის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და ორივე ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

მხარეები ხელს შეუწყობენ ეკონომიური ურთიერთობისა და თანამშრომლობის, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შემდგომ განვითარებას.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც განავითარებენ და გააფართოებენ ორივე ქვეყანას შორის თანამშრომლობას მეცნიერებისა და კულტურის, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმის, ფიზიკური კულტურის დარგში და სხვა დარგებში.

მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მშრომელთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და უშუალო კავშირის გაფართოებას, რათა უფრო ღრმად გაეცნონ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს ორივე სახელმწიფოს ხალხები.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, გამოთქვამენ რა მტკიცე გადაწყვეტილებას იარონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით, განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ დაიცვან ხალხთა სოციალისტური მონაპოვარნი, ორივე ქვეყნის უშიშროება და დამოუკიდებლობა, ეცდებიან განავითარონ ყოველმხრივი ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებს შორის და იმოქმედებენ მათი ერთიანობის, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების სულისკვეთებით.

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ მიუნხენის 1938 წლის 29 სექტემბრის შეთანხმება მიღწეული იყო აგრესიული ომისა და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარით, იყო მშვიდობის წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის დანაშაულებრივი შეთქმულების შემადგენელი ნაწილი და საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების უხეში დარღვევა, ამიტომ იმთავითვე ბათილი იყო აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, თანმიმდევრულად ახორციელებენ რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და ხალხთა უშიშროება იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიული ძალების ხელყოფისაგან, შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა, შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება და მიაღწიონ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, კოლონიალიზმის, მისი ყველა ფორმისა და გამოვლინების საბოლოო ლიკვიდაციას, მხარი დაუჭირონ ქვეყნებს, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიურ მონობას და ადგანან ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების გზას.

მუხლი 8

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ერთად იბრძოლებენ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ ვითარება და უზრუნველყონ მშვიდობა ევროპაში, განამტკიცონ და განავითარონ თანამშრომლობა ევროპის სახელმწიფოებს შორის, დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა მათ შორის და შექმნან ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემა ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებათა საფუძველზე.

მუხლი 9

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ევროპის სახელმწიფო საზღვრების ურყევობა. ისინი გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ერთად და მის შესაბამისად უზრუნველყონ ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საზღვრების შეუვალობა და ყველაფერი იღონონ მილიტარიზმისა და რევანშიზმის ყოველგვარი ძალების მხრივ აგრესიის აღსაკვეთად და აგრესორის მოსაგერიებლად.

მუხლი 10

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მაღალ მხარეზე შეიარაღებულ თავდასხმას მოახდენს რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე, მიიჩნევს ამ თავდასხმას თავის წინააღმდეგ თავდასხმადაც და დაუყოვნებლივ გაუწევს მას ყოველგვარ დახმარებას, მათ შორის სამხედრო დახმარებასაც, აგრეთვე მხარს დაუჭერს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების განხორციელების წესით.

ამ მუხლის საფუძველზე მიღებულ ღონისძიებებს ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დაუყოვნებლივ აუწყებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 11

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ერთმანეთს ინფორმაციას მიაწვდიან, მოეთათბირებიან მათთვის საინტერესო ყველა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე და იმოქმედებენ ორივე სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად შეთანხმებული საერთო პოზიციის საფუძველზე.

მუხლი 12

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აცხადებენ, რომ ამ ხელშეკრულების დებულებებს არ ეწინააღმდეგება ვალდებულებანი, რომლებიც მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით იკისრეს.

მუხლი 13

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება მოსკოვში უმოკლეს ვადაში.

მუხლი 14

ხელშეკრულება იდება ოცი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება ყოველთვის მომდევნო ხუთი წლით, თუ ხელშეკრულების დამდები არც ერთი მაღალი მხარე ხელშეკრულების მოქმედების შესაბამისი ვადის გასვლამდე თორმეტი თვით ადრე არ მოახდენს მის დენონსირებას.

შედგენილია პრაღაში 1970 წლის 6 მაისს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ჩეხურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირისაგან
ლ. ბრეჟნევი
ა. კოსიგინი

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური
რესპუბლიკისაგან
გ. ჰუსაკი
ლ. შტროუგალი

დარბაზობა პრაღის გრადში

პრაღა, 6 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დღეს პრაღის გრადში დიდი დარბაზობა გამართეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს. დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა სამხედრო დელეგაციის წევრები, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი და სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ.

სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

ლ. სვობოდასა და ა. ნ. კოსიგინის სიტყვები შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, არაერთხელ გაისმოდა ტაში.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ჩეხოსლოვაკია ზეიმობს განთავისუფლების იუბილეს

პრაღა, 7 მაისი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პრაღის კრემლის ისპანურ დარბაზში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრებისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს.

დარბაზის სიღრმეში თეთრ ტილოზეა ოქროსფერი ციფრები „25" და თარიღები 1945-1970 წლები, გარშემო — ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმები.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, ზეიმზე ჩამოსული სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების მეთაურები.

სხდომის მონაწილენი ფეხზე ადგომით, მქუხარე ტაშით მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებს.

დარბაზში ჟღერს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომა გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ფედერალური მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, რომელმაც სიტყვა მისცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. ჰუსაკს.

ამხანაგ გ. ჰუსაკის მოხსენება

ოცდახუთი წლის წინათ ჩვენი ხალხების ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპოქა, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა. 1945 წლის 9 მაისს — ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს კულმინაციურ წერტილს მიაღწია ჩეხი და სლოვაკი ხალხების გმირულმა ბრძოლამ, რომელიც დაგვირგვინდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო სუვერენიტეტის აღდგენით, შეიქმნა ეროვნული და დემოკრატიული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისა და სოციალიზმზე თანდათანობით გადასვლის პირობები. ჩვენ მადლობას ვუძღვნით ათეულათასობით ჩეხ და სლოვაკ პატრიოტს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩეხოსლოვაკიაში და საზღვარგარეთ ხელს გვიწყობდნენ ამ გადამწყვეტი ბრძოლის დამთავრებაში. პატივისცემითა და უდიდესი მადლიერებით ვიგონებთ უწინარეს ყოვლისა იმათ, ვინც ჩეხოსლოვაკიისა და საზღვარგარეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში, მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე და საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა ჩვენი ხალხების თავისუფლების მოსაპოვებლად, ჩვენი მშრომელი ხალხისათვის სოციალური სამართლიანობის მისაღწევად.

ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის განმათავისუფლებელი, განაგრძო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, იყო საბჭოთა არმია, გმირი საბჭოთა ხალხი, რომელსაც სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. ამიტომ ბედნიერი ვართ, რომ შეგვიძლია სულითა და გულით მივესალმოთ აქ მყოფ სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

როგორც ცნობილია, ამხანაგმა ბრეჟნევმა, როგორც საბჭოთა არმიის გენერალმა, უშუალო მონაწილეობა მიიღო განმათავისუფლებელ ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ჩვენი ბევრი დღევანდელი საპატიო სტუმარიც.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მათ დღეს აქ.

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელსაც დიდი ხნის ტრადიციები აქვს, შედუღაბებულია ერთად დაღვრილი სისხლით. ამ ბრძოლამ წარმოშვა ლოზუნგი, რომელსაც ჩვენი ხალხი ასრულებს და კვლავაც შეასრულებს: „საბჭოთა კავშირთან მარად".

იმ პერიოდში, როცა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, 1943 წლის 12 დეკემბერს ჩვენი ხალხის გრძნობათა და მისწრაფებათა შესაბამისად საბჭოთა კავშირთან დავდეთ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება. ახლა, ჩვენი განთავისუფლების ოცდახუთი წლისთავის დღეებში, ჩვენ ხელი მოვაწერეთ ახალ ხელშეკრულებას. იგი გამოხატავს ჩვენს ურყევ ნებას კვლავაც განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ ჩვენი ურთიერთ მეგობრობა და კავშირი. ახალ ხელშეკრულებაში დარჩა 1943 წლის ხელშეკრულების მიზნები და პრინციპები ამავე დროს ეს ხელშეკრულება აღრმავებს მათ სოციალისტური განვითარების გამოცდილებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ჩვენი განთავისუფლების 25 წლისთავის გამო გულწრფელ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას განთავისუფლებისა და დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეს და გვიწევენ სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ აურაცხელ მსხვერპლს, რაც საბჭოთა ხალხმა გაიღო ჩვენი ხალხების გადარჩენისა და მათი თავისუფლებისათვის. ყველაფერს ვიღონებთ, რომ განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, განვავითაროთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში და მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაში.

ჩვენ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე სხვა მოძმე ხალხებს, პოლონელ, ბულგარელ, რუმინელ, იუგოსლავ, გერმანელ, უნგრელ და ბევრ სხვა ანტიფაშისტ მებრძოლს, რომლებიც საბჭოთა არმიასთან, ჩვენს ნაწილებთან და პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის. მოხარული ვართ, რომ ჩვენს დღესასწაულში მონაწილეობენ მოძმე ქვეყნების წარმომადგენელნი. სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ და თქვენი ქვეყნების ხალხებს, რომ ჩეხოსლოვაკია სოციალისტური თანამეგობრობის მტკიცე შემადგენელი ნაწილი არის და იქნება.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის განვითარებას მეორე მსოფლიო ომის წინ, გ. ჰუსაკმა აღნიშნა, რომ მიუნხენის შეთანხმებები ევროპაში იმპერიალისტური პოლიტიკის მაგალითი იყო. ჩვენს ხალხს, თქვა მან, ეს ძვირად დაუჯდა. იგი დარწმუნდა, რომ ისე, როგორც ჩვენი ბურჟუაზიის საშინაო პოლიტიკა იყო ანტიხალხური, ასევე მისი საგარეო პოლიტიკა, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებზე იღებდა ორიენტაციას, იყო ანტიეროვნული და კატასტროფისაკენ მივყავდით.

ოკუპაციის წლებში მუშათა კლასსა და მშრომელ ხალხს დააწვა ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე, და ისინი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ მთელ რიგ რევოლუციურ ღონისძიებებს, რომლებითაც დაიწყო ეროვნული და დემოკრატიული რევოლუცია ჩეხოსლოვაკიაში.

———

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ხალხის კანდიდატები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

დღითი დღე სულ უფრო ფართოვდება მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი პატრიოტული აღმავლობისა და ერთსულოვნების ვითარებაში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია.

7 მაისს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. ამ ოლქში კენჭისყრას დათანხმდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე**.

გახსნა რა სხდომა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქარხანა „ელექტროავტომატის" მოწინავე მუშამ გ. წულაიამ თქვა, რომ ოლქის ამომრჩევლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე დათანხმდა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს ქარხანა „ელექტროავტომატის" დირექტორი ო. ნიკურაძე.

ჩვენი ქარხნის კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელოს ვ. პ. მჟავანაძე. მთელი რიგი წლების მანძილზე მეთაურობს რა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, ამხ. მჟავანაძემ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელმა, უნარიანმა ორგანიზატორმა. იგი ღრმად სწვდება პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის საკითხებს და ბევრ რამეს აკეთებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

გამოდის № 6 სამკერვალო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ნიკოლაიშვილი. მან თქვა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიობის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. ოლქის მშრომელებმა, თქვა მან შემდეგ, სიხარულით შეიტყვეს, რომ ვ. პ. მჟავანაძე დათანხმდა კენჭი იყაროს დეპუტატად თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქში.

ვ. ნიკოლაიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ ვ. პ. მჟავანაძე როგორც ყოველთვის ღირსეულად გაამართლებს მაღალ ნდობას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ მდივანს საპატენტო და სალიცენზიო მუშაობაში ა. ბარტნოვსკის. მან თქვა, რომ აკადემიკოსებმა, წევრ-კორესპონდენტებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა წინასაარჩევნო კრებაზე ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ვ. პ. მჟავანაძე, მის საქმიანობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე კარგად იცნობენ რესპუბლიკის მშრომელები. ყველანი ვხედავთ, რამდენ ძალასა და ენერგიას ახმარს იგი ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხთა წარმატებით გადაჭრის საქმეს.

ყველა ორატორმა თავიანთი კოლექტივების სახელით შეიტანეს წინადადება რეგისტრაციაში გაატარონ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში.

კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე**, რომელიც დაასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" კოლექტივებმა და რესპუბლიკის მწერალთა კავშირმა.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრირებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ოთარ ილიას-ძე ლოლაშვილი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის** კანდიდატურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი **ლამარა ზაქარიას ასული ბანეთიშვილი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მრთველი **მერი პეტრეს ასული ტატურაშვილი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი **მედეა თომას ასული ვახტანგაძე**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების რუსთავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ № 4 მარტენის ღუმელის წარჩინებული მდნობელი **მიხეილ პავლეს-ძე სპანდერაშვილი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავი **რუიზანი ალექსის ასული სოყურაშვილი**.

საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შოთა ეფრემის-ძე ბუხრაშვილი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის „გვირაბმშენის" სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი **გრიშა ივანეს-ძე ობოლაძე**.

ამბროლაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ამბროლაურის რაიონის სოფელ საკიცვის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელი **ეკატერინე შალვას ასული გოგობერიშვილი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შალვა დავითის-ძე კიკნაძე**.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბოლნისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ბოლნისის რაიონის სოფელ ქოჩულის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი **ზახრა ახმედ ყიზი ჩირაკოვა**.

ამხანაგ გ. ჰუსაკის მოხსენება

(გაგრძელება)

დაახასიათა რა პირველ ომისშემდგომ პერიოდში მომხდარი ამბები, გ. ჰუსაკმა ხაზი გაუსვა, რომ 1945 წელს მიღებული კოშიცის მთავრობის პროგრამა, რომელსაც საფუძვლად იდო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პროექტები, ღრმა რევოლუციური გარდაქმნების იარაღი იყო. იგი ეყრდნობოდა ხალხის გამოცდილებას ანტიფაშისტურ ბრძოლაში და გამოხატავდა მის მიზნებს. იგი მოიცავდა უახლოეს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ძირითად ამოცანებს, რომელთა განხორციელება საჭირო იყო, რომ გადაგვედგა შემდგომი ნაბიჯი სოციალიზმის მიმართულებით.

გ. ჰუსაკმა აღნიშნა, რომ 1948 წლის თებერვალში მუშათა კლასისა და მშრომელი ხალხის გამარჯვებამ გზა გაუხსნა სოციალიზმის მშენებლობას ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, განაგრძო მან, გახდა ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების ხელმძღვანელი ძალა. თავისი ხელმძღვანელი მდგომარეობა მან მოიპოვა რევოლუციური პროგრამით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, სოციალიზმის დიადი იდეისადმი ერთგულებით. ამიტომ მუშათა კლასი და მშრომელთა უმრავლესობა გადამწყვეტ შეტაკებებში მას სრულ ნდობას უცხადებდნენ. ასე შეიქმნა გადამწყვეტი პირობა წარმატებით სოციალისტური მშენებლობისათვის.

განვლილი 25 წლის შედეგები იმის დადასტურებაა, რომ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მეთაურობს, ღირსეულად გაართვა თავი სოციალისტური მშენებლობის რთულ რევოლუციურ ამოცანას. მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული და ბეჯითი შრომის მეოხებით განხორციელდა საქმე, რომელიც ეკუთვნის ჩვენი ხალხების ისტორიის ყველაზე სახელოვან წამოწყებებს და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების შემდგომი მძლავრი განვითარების საფუძველია. მის სიდიადეს ვერ აჩრდილებს ის ფაქტიც, რომ საშინაო და საერთაშორისო განვითარების რთულ პირობებში დაშვებული იყო შეცდომები, ხარვეზები და დარღვევები. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია აშკარად მიუთითებდა მათზე და პატიოსნად უწევდა მათ აღმოფხვრას.

1968 წელს პარტიის მეცადინეობა შეცდომების კრიტიკული ანალიზისა და გამოსწორების მიზნით გამოიყენეს ანტისოციალისტურმა და მემარჯვენე ძალებმა სოციალისტური მშენებლობის პრინციპების წინააღმდეგ ფრონტალური გამოსვლისათვის.

განვლილი 25 წლის მანძილზე მშენებლობის შედეგები მკაფიოდ ცხადყოფენ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობებს.

სოციალიზმის მშენებლობის შედეგად ჩვენი საზოგადოების სოციალურ და ეკონომიურ სტრუქტურაში მოხდა ძირეული ცვლილებანი, თქვა გ. ჰუსაკმა. სცენიდან ჩამოვიდნენ კაპიტალისტური კლასები და მათი ადგილი დაიკავეს სოციალისტურმა მუშათა კლასმა, კოოპერაციულმა გლეხობამ და მშრომელმა ინტელიგენციამ. ეკონომიკის დარგში მთლიანად გაიმარჯვა სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ, რომელიც გახდა ყოველმხრივი ეკონომიური განვითარების ამოსავალი პუნქტი. სასიკვდილო ლახვარი ჩავცით ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემას. ექსპლოატატორებისაგან განთავისუფლებული მშრომელი ხალხი გახდა თავისი ქვეყნის სუვერენული ბატონ-პატრონი.

რევოლუციური გარდაქმნები აისახა სამრეწველო წარმოების თუმცა არა ყოველთვის თანაბარზომიერი, მაგრამ დინამიკური ზრდით და ექვსჯერ და მეტად გადიდდა ომამდელ დონესთან შედარებით. ძირითადი ფონდების ღირებულება ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. მძიმე მრეწველობის, სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული ბაზის და უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარება გახდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო ტექნიკურ-ეკონომიური აღმავლობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, კაპიტალისტური ბაზრისაგან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წყარო. შეიქმნა თანამედროვე მრეწველობის დარგები და მოეწყვარდა ისეთი წარმოება, როგორიც მარტო ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს აქვთ ათვისებული.

ჩვენ წარმატებით შევასრულეთ ერთ-ერთი ყველაზე ძნელი ამოცანა — ჩავაბით გლეხობა სოციალიზმის საქმეში. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მტკიცედ დამკვიდრდნენ ჩვენი სოფლის ცხოვრებაში და გაუძლეს უკანასკნელი წლების პოლიტიკურ გამოცდას. ამის მეოხებით სოციალისტური მსხვილსასაქონლო სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუდმივ ზრდას. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ომამდელ დონესთან შედარებით 3,5-ჯერ გაიზარდა.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი ჩვენს ქვეყანაში დაკავშირებულია ჩეხიისა და სლოვაკიის ოლქების ეკონომიურ განვითარებაში სხვაობის აღმოფხვრის საქმეში მიღწეულ დიდ წარმატებებთან, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა. დღეს სლოვაკია მეტ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე მთელი ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა აწარმოებდა.

ეროვნული საკითხის გადაჭრას, უწინარეს ყოვლისა ჩეხებისა და სლოვაკების ურთიერთობას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოსათვის, ჩეხებისა და სლოვაკების სრული თანასწორუფლებიანობისათვის. ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ეროვნების ფედერაციული კავშირის ლენინურმა იდეამ ჩვენს ქვეყანაშიც შექმნა ახალი პირობები ერთიან სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩეხებისა და სლოვაკების ძმური დამოკიდებულებისა და უმჭიდროესი თანამშრომლობისათვის.

განვლილი 25 წლის პერიოდი ღირსშესანიშნავი ეტაპია ჩვენი კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაშიც. დღეს მოსახლეობის განათლების დონით ჩეხოსლოვაკიას მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის უჭირავს ადგილი.

რევოლუციის შედეგებისა და სოციალისტური მშენებლობის მონაპოვართა მტკიცე გარანტიაა სოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან მოკავშირეობის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, განაგრძო მომხსენებელმა. ეკონომიკაში ამ მოკავშირეობას გამოხატავს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა. სუვერენული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დაცვას საიმედოდ უზრუნველყოფს ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც ევროპის სოციალისტური ქვეყნების სამხედრო კავშირის საფუძველს წარმოადგენს და ევროპის უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ თვეში ჩვენ აღვნიშნავთ მისი შექმნის 15 წლისთავს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკისა და ყველა ხალხთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპები წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. ცხოვრებამ მრავალგზის დაადასტურა კლემენტ გოტვალდის სიტყვები, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კრიტერიუმია საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულება. ჩვენ სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის წევრი ვართ. მხოლოდ როგორც სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელ ნაწილს, შეგვიძლია უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებების განხორციელება.

სოციალისტურ გარდაქმნათა შეფასებისას გვესმის, რომ ჩვენს საზოგადოებას შეეძლო მიეღწია ესოდენ დიდი წარმატებებისათვის მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მშრომელ ხალხს სათავეში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ედგა.

მიმდინარე წელს დიდი რევოლუციონერისა და მოაზროვნის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ყველაზე დიდ წარმატებებს იმ პერიოდებში ვაღწევდით, როცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავის პოლიტიკაში თანმიმდევრულად ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით, როცა იგი შემოქმედებითად იყენებდა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს. დიდი ლენინის იდეები იყო და კვლავაც რჩება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძლიერებისა და აყვავების წყაროდ.

ჩვენს მშრომელ ხალხს, მუშათა კლასსა და მის წამყვან ძალას — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული მიღწევებით.

ყველა სიძნელისა და ნაკლის მიუხედავად, სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში ცხადყო, რომ შეუძლია უზრუნველყოს მშრომელი ადამიანის უფრო მჩქეფარე, უფრო ბედნიერი და უფრო შეძლებული ცხოვრება.

ჩვენ არ გვინდა დავმალოთ ის მრავალრიცხოვანი პრობლემები, რომლებიც დროზე ვერ გადაიჭრა და საფუძვლად დაედო საზოგადოებრივ და შინაპარტიულ კრიზისს, რაც განვლილ წლებში განვიცადეთ, თქვა გ. ჰუსაკმა. ზოგიერთი შეცდომა და ნაკლი გამომდინარეობდა საზოგადოებრივ ცვლილებათა ობიექტური ხასიათიდან. შეტევაზე გადასულ მუშათა კლასს უნდა შეეთვისებინა საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ესწავლა მართვა და ხელმძღვანელობა. სხვა შეცდომები გამოიწვია სუბიექტურმა მიდგომამ, რომელიც ცვლიდა ობიექტურ ანალიზსა და გონივრულ მიდგომას. ჩვენშიც იყენებდნენ მეთოდებს, რომლებსაც შეიცავს „პიროვნების კულტის“ ცნება. მნიშვნელოვანი ზიანი მოგვაყენა იმან, რომ დროულად და თანმიმდევრულად ვერ გამოვიტანეთ დასკვნები პოლიტიკური და სამეურნეო პრაქტიკისათვის.

გ. ჰუსაკმა აღნიშნა, რომ შეცდომათა და ნაკლოვანებათა პატიოსან, ჯანსაღ კრიტიკასთან ერთად სულ უფრო იკიდებდა ფეხს და თანდათან ძლიერდებოდა ნიჰილისტური დამოკიდებულება მთელი რევოლუციური წარსულისადმი. შეტევაზე გადმოვიდნენ მტრული რევიზიონისტული ძალებიც, რომლებიც ილაშქრებდნენ სოციალიზმისა და მის ძირითად ღირებულებათა წინააღმდეგ და ავრცელებდნენ სხვადასხვაგვარ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს.

პარტიის რევოლუციურმა ბირთვმა შეიგნო მზარდი დაძაბულობა საზოგადოებაში და შექმნილი საფრთხე. იგი ცდილობდა აღორძინებინა პარტიული ცხოვრებისა და მთელი საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები. მისი მეცადინეობა გამოვლინდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის იანვრის პლენუმზე, იანვრის პლენუმის მუშაობის მთავარი მიზანი იყო იმის პირობების შექმნა რომ აღმოგვეფხვრა დაბრკოლებანი სოციალიზმისაკენ ჩვენი შემდგომი წინსვლის გზაზე. საქმე ეხებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლისა და სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას.

1968 წლის იანვრის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელობისაგან მოველოდით, რომ იგი განახორციელებდა ენერგიულ ღონისძიებებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის იანვრის პლენუმის დასკვნების რეალიზაციისათვის. მოველოდით, რომ იგი სრულყოფდა მუშაობის მეთოდებსა და სტილს და გაუჭიანურებლად შექმნიდა წანამძღვრებს, რათა მთლიანად გამოგვეყენებინა მშრომელთა ინიციატივა ჩვენი ქვეყნის შემდგომი სოციალისტური განვითარებისათვის.

მაგრამ ეს იმედები გაცრუვდა, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა. პოლიტიკურად პარტიის ხელმძღვანელობა ერთგვაროვანი არ იყო და მისი მემარჯვენეოპორტუნისტული ფრთის მიზეზით კიდევ უფრო ღრმავდებოდა გათიშულობა. პარტიის ხელმძღვანელობა არ ეყრდნობოდა მუშათა კლასს და ერთ ადგილს ტკეპნიდა. ამრიგად, გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომელიც იანვრის პლენუმმა შექმნა, გამოუყენებელი დარჩა და, ბოლოს და ბოლოს, არარად იქცა.

მემარჯვენე ძალებმა ისარგებლეს იმით, რომ იანვრისშემდგომი ხელმძღვანელობა სუსტი იყო და უნარი არ შესწევდა გამოეტანა მკაფიო დასკვნა, და პარტიასა და საზოგადოებას თავს მოახვიეს თავიანთი ავანტიურისტული ზრახვები. მათი საქმიანობის შედეგად სერიოზულად დაირღვა სოციალისტური სახელმწიფოს როლი, კომუნისტური პარტია გახდა უპასუხისმგებლო გამოხდომების სამიზნე, პარალიზებული იყო მისი ხელმძღვანელი როლი. ამრიგად საფრთხე შეექმნა სოციალისტური წყობილების თვით არსს.

მემარჯვენე, ანტისოციალისტურმა ძალებმა გააჩაღეს კამპანია, რომელსაც უნდა დაენგრია სოციალიზმის ძირითადი ღირებულებანი და ჩირქი მოეცხო საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი მეგობრობისათვის, ინტერნაციონალური ძმობის დროშისათვის.

ჩეხოსლოვაკიას სერიოზული საფრთხე შეექმნა. მოძმე კომუნისტურ პარტიებს, რომლებმაც ყოველი ღონე იხმარეს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტისათვის, არ შეეძლოთ პასიურად ეცქირათ ტრაგედიისათვის და დაენებებინათ კონტრრევოლუციისათვის დაემთავრებინა თავისი საქმე.

ვარშავის ხელშეკრულების სამოკავშირეო ჯარების შემოსვლამ ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის აგვისტოში ჩაშალა მემარჯვენე, ანტისოციალისტური ძალების გეგმების განხორციელება. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და მთელი სოციალისტური ბანაკის დაცვის აქტი, ჩვენი პარტიისადმი, მუშათა კლასისადმი, ჩვენი ხალხისადმი ინტერნაციონალური დახმარების აქტი.

1968 წლის აგვისტოდან 1969 წლის აპრილამდე განვლილმა პერიოდმა კვლავ ცხადყო, რომ საქმე ბევრი ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწის გულუბრყვილობას ან სოციალიზმის რაღაც ახალი მოდელის რაიმე ძიებას კი არა, არამედ ორგანიზებულ მემარჯვენე, კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეხებოდა. უპრინციპო მიდგომა მოსკოვის ოქმისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ნოემბრის რეზოლუციისადმი სპობდა როგორც პარტიაში, ისე საზოგადოებაში კონსოლიდაციის განხორციელების შესაძლებლობას. გრძელდებოდა აგვისტომდელი პერიოდის უარყოფითი ტენდენციები. საზოგადოება განიცდიდა ახალ კრიზისულ შერყევებს.

მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის აპრილის პლენუმმა მისცა იმპულსი ჯანსაღი ძალების მტკიცე შეტევას, რომლის მიზანი იყო პარტიის მარქსისტულ-ლენინური ხასიათის, მისი ერთიანობის, აქტივობისა და ძალის აღდგენა. პარტიის ხელმძღვანელობამ განახორციელა მთელი რიგი ენერგიული ღონისძიებანი მემარჯვენე ძალების გავლენის ლიკვიდაციისათვის, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდისათვის, სახელმწიფო ორგანოების განმტკიცებისათვის.

უკვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კონსოლიდაციის პირველმა წელმა შესამჩნევი წარმატებანი მოგვიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მემარჯვენე, ანტისოციალისტური ძალების ბლოკი პოლიტიკურად დავამარცხეთ. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიული ბილეთების გამოცვლის შესახებ, რაც მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე პარტიის წევრთა საქმიანობის აქტივიზაციის, პარტიის რევოლუციური ერთიანობის განმტკიცებისა და ყველა მერყევი ელემენტისა და კარიერისტისაგან მისი გაწმენდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. დარწმუნებული ვართ, რომ ამის შედეგად ჩეხოსლოვაკიის კომპარტია იდეურპოლიტიკურად და ორგანიზაციულად განმტკიცდება, წარმატებით გამოიყვანს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებას ღრმა კრიზისიდან და გადაჭრის ჩვენი შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების ყველა ძირითად პრობლემას.

განვლილი წელი მიმდინარეობდა აგრეთვე პარტიის ისეთ ღონისძიებათა ნიშნით, როგორიც არის ამხანაგური, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან და მათს კომუნისტურ პარტიებთან, აღნიშნა გ. ჰუსაკმა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია კვლავ გახდა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მტკიცე შემადგენელი ნაწილი, აღადგინა და აღრმავებს ძმურ ურთიერთობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

პარტიის პასუხისმგებლობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო და კვლავაც არის ჩვენი სამშობლოს უშიშროების საერთაშორისო უზრუნველყოფის ამოცანა, მისი მოვალეობაა თავიდან აიცილოს იმ ტრაგიკული ბედის გამეორება, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს განუმზადა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიამ 1938-1939 წლებში.

ჩვენი ხალხის უშიშროების ერთადერთ გარანტიად მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია მტკიცე კავშირი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი ხალხისათვის მძიმე განსაცდელის ჟამს მხოლოდ საბჭოთა კავშირმა შეასრულა პირნათლად თავისი ვალდებულებანი ჩეხოსლოვაკიის მიმართ, და მისი მარადიული დამსახურებაა ის, რომ 25 წლის წინათ ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა შეძლო ხელში აეღო თავისი სამშობლოს მართვის სადავეები. უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩვენ მშვიდობის პირობებში რომ ვცხოვრობთ, მეოთხედი საუკუნის მანძილზე მთელ ევროპაში რომ მშვიდობაა, ამ ფაქტისათვის ჩეხოსლოვაკიელი ხალხი უწინარეს ყოვლისა მადლობელია საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკისა და სოციალისტური ქვეყნების მტკიცე კავშირისა.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებათა სისტემამ და ვარშავის ხელშეკრულების არსებობამ აღმართა დაბრკოლება, რომელმაც განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩაშალა ყველა ცდა საფრთხე შეექმნათ ევროპის უშიშროებისათვის და გადაესინჯათ მეორე მსოფლიო ომის შედეგები. საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ამ ძმური სამოკავშირეო ურთიერთობის მნიშვნელობას სწორედ იმ მომენტში, როცა სსრ კავშირის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოვაწერეთ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას.

მოლაპარაკებამ, რომელსაც ამ დღეებში ვაწარმოებდით საბჭოთა კავშირის დელეგაციასთან, დაადასტურა რომ ორივე მხარეს ერთნაირი შეხედულებანი და ინტერესები აქვს, თქვა მომხსენებელმა. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, როგორც ნამდვილი მეგობრები. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება, როგორც ეს შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო მოქმედების საკითხებსა და ევროპის უშიშროების საკითხებს.

ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, მთლიანად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც მსოფლიოში მოხდა ამ ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, იგი ასახავს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას მსოფლიოში და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის უფრო მაღალ დონეს.

ხელშეკრულების ტექსტი შეესაბამება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, რომლებიც სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის ქმნიან ახალი ტიპის ურთიერთობას. დოკუმენტის თვითეული სიტყვა მოწმობს, რომ ჩვენ შეგნებული გვაქვს დიდი პასუხისმგებლობა სოციალიზმის მშენებლობაში ჩვენი საერთო მეცადინეობის შედეგებისათვის, მათი განვითარებისა და დაცვისათვის. ხელშეკრულების შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით ბრატისლავის 1968 წლის 3 აგვისტოს განცხადების ფორმითა და შინაარსით, რომლის თანახმად თვითეული ქვეყნის გმირული მეცადინეობითა და თავდადებული შრომით მიღწეულ სოციალისტურ მონაპოვართა მხარდაჭერა, განმტკიცება და დაცვა ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა.

მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ხელშეკრულება, რომელსაც გუშინ მოვაწერეთ ხელი, კიდევ ერთი წვლილი გახდება სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის ძალების განმტკიცებაში, ხელს შეუწყობს იმას, რომ ევროპაში ვეღარ გამეორდეს ომით გამოწვეული კატასტროფა.

დღეს, როცა 25 წელი გავიდა გერმანიის ფაშიზმის განადგურების შემდეგ, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ომის ყველა შედეგი და გადაჭრილი არ არის თანამედროვე ევროპის ყველა პრობლემა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა. ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია მისწრაფება აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ეს მემკვიდრეობა და გადავჭრათ ყველა ღიად დარჩენილი საკითხი.

სოციალისტურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის მეთაურობით მრავალგზის წამოუყენებიათ წინადადებანი, რომ შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება მეორე მსოფლიო ომის შედეგების დაცვა. სოციალისტური ქვეყნების ბოლო ინიციატივა იყო წინადადება სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ წინადადებას გაგებით მოეკიდა ევროპის ბევრი მთავრობა. მაგრამ ზოგიერთი მთავრობა სხვადასხვა საბაბით ცდილობს გადადოს თათბირის მოწვევის ვადა, ხელი შეუშალოს თათბირის მოწყობას, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ევროპის უშიშროების მტკიცე სისტემის შექმნის გზაზე.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ იკისროს ვალდებულება ცნოს ევროპის ახლანდელი სახელმწიფო საზღვრები, მათ შორის საზღვარი ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის, ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა საერთაშორისო სამართლის საფუძვლებზე. ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ბოლო მოეღოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უკანონო მოქმედებას დასავლეთ ბერლინში, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია. ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ბოლო მოეღოს რევანშისტულ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა ჩუმი თუ აშკარა თანხმობით მოითხოვენ ევროპის ახლანდელი საზღვრებისა და სტატუსკვოს გადასინჯვას. ჩვენ დაინტერესებული ვართ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ ცნოს, რომ მიუნხენის შეთანხმება იმთავითვე ბათილი იყო.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ გერმანიის მიწაწყალზე არსებობს გერმანელ მშრომელთა სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ დიდად ვაფასებთ თვალსაჩინო შედეგებს, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა კლასობრივმა ძმებმა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, აგრეთვე დიდად ვაფასებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილს ევროპის უშიშროების საქმეში, ამით კი ჩეხოსლოვაკიის საზღვრების უშიშროების საქმეში.

ომისშემდგომ პერიოდში იმპერიალიზმმა გააჩაღა მთელი რიგი სამხედრო კონფლიქტები, იწვევდა და კვლავაც იწვევს ახალ კრიზისებს, აღნიშნა გ. ჰუსაკმა. დიდი შეშფოთებით ვადევნებთ თვალყურს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამში.

ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამერიკის იმპერიალიზმის უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ პოლიტიკას ვიეტნამსა და მთელ ინდოჩინეთში, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ამტკიცებენ, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ყველაზე დიდი მტერი არიან.

მხურვალე ძმური გრძნობებით ვეკიდებით გმირ ვიეტნამელ ხალხს, მებრძოლ ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებს და აღვუთქვამთ მათ გულწრფელ სოლიდარობასა და ყოველმხრივ დახმარებას.

ძალიან გვაწუხებს აგრეთვე დაძაბულობის საშიში ზრდა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელის მმართველი წრეები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით კვლავ სისტემატურად უგულებელყოფენ და არღვევენ უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას და აფართოებენ აგრესიულ საომარ მოქმედებას არაბი მეზობლების წინააღმდეგ.

სერიოზული ვითარება, რომელიც ახლა ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა, მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა მთლიანად შესრულდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, ისევე როგორც სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობასა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტის უკეთესო გზად მიაჩნია. სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას, მხარი დავუჭიროთ არაბულ სახელმწიფოთა სამართლიან ბრძოლას და გულწრფელ სოლიდარობას ვუცხადებთ მათ.

შეეხო რა მდგომარეობას შიგ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, გ. ჰუსაკმა თქვა: პოლიტიკური და ეკონომიური კონსოლიდაციის პირველი წლის შედეგები წარმატებითია. მიუხედავად ამისა ცხადია, რომ მიმდინარე წელს ყველა პრობლემას ვერ გადავჭრით. განსაკუთრებით იდეოლოგიურ და ეკონომიურ დარგებში კონსოლიდაცია მოითხოვს დიდ დროსა და ყველა ჩვენგანის დიდ მეცადინეობას.

1969 წლის აპრილის პლენუმის მტკიცე ღონისძიებანი, პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის დირექტივები და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი დიდი ორგანიზატორული მუშაობის ამოსავალი პუნქტი გახდა. ჩვენ შევძელით არსებითად განგვემტკიცებინა პარტიის ხელმძღვანელი როლი, ეკონომიკისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობა და აღგვედგინა სახელმწიფო გეგმის როლი.

დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე წლის კონსოლიდაციის პროგრამასა და მიზნებს. ამ გეგმის საფუძველზე განსაკუთრებით მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში კვლავ გაიზარდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, შეწყდა ინფლაციის განვითარება, სტაბილური გახდა ხელფასი და ფასები, აღდგენილია შრომის ნაყოფიერების უფრო სწრაფი ზრდა საშუალო ხელფასის ზრდასთან შედარებით, მდგომარეობა საშინაო ბაზარზე უფრო მშვიდი გახდა, აღდგენილია კრონისადმი ნდობა.

არ გვინდა გადაჭარბებით შევაფასოთ მიღწეული წარმატებანი. ბევრი სერიოზული პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

ეკონომიკის კონსოლიდაციის დასახულ ღონისძიებათა თანმიმდევრულ რეალიზაციას ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობა დასჭირდება.

ვწყვეტთ რა მიმდინარე ამოცანებს, ჩვენ თანდათან ვქმნით ეკონომიური განვითარების გრძელვადიან პროგრამას, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას მთლიანად აღვადგინოთ გეგმის როლი და გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი. ამ თვალსაზრისით განახლდა მუშაობა ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ჩვენი ეკონომიკის წინაშე დღეს ისახება ამოცანა მომზადდეს ისეთი ეკონომიური კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად დაედება ახალი მოთხოვნილებანი და შესაძლებლობანი, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა გვაძლევს სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მიღწევათა გამოყენება.

ჩვენს ეკონომიკას დიდ შესაძლებლობებს უქმნის ეკონომიური ინტეგრაცია და შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილება. ეკონომიური ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ჩვენ მიგვაჩნია სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, განვითარების პროგრამების ერთად განხორციელება, არა მარტო წარმოების, არამედ აგრეთვე კვლევისა და ექსპერიმენტულ სამუშაოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება. ამ ბოლო დროის ვითარებამ ჩვენს წინაშე დააყენა მეტად მტკიცე მოთხოვნა, რომ შევქმნათ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის ეფექტიანი სოციალისტური სისტემა, რომელიც თანმიმდევრულად იხელმძღვანელებს იმით, რომ სახელმწიფო გეგმა, სახელმწიფო საზოგადოებრივი საკუთრება და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია გადამწყვეტ როლს ასრულებს. საჭიროა გამოვიყენოთ ეკონომიური რეფორმის დღემდე არსებული დადებითი და უარყოფითი გამოცდილება, გავათავისუფლოთ იგი რევიზიონისტული დანაშრევებისაგან და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის გადაწყვეტილების სულისკვეთებით შევიმუშაოთ და თანდათანობით დავნერგოთ ხელმძღვანელობის ისეთი სისტემა, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს პარტიის ეკონომიური პოლიტიკის რეალიზაციას.

ჩვენს საზოგადოებას მძლავრი ეკონომიური პოტენციალი აქვს. მთლიანად [illegible] რი განვითარების ნათელ პერსპექტივას. ეს განვითარება ხელს შეუწყობს ჩვენი საზოგადოების ახალ აღმავლობას და ჩვენი ქვეყნისათვის უზრუნველყოფს საპატიო ადგილს ახლანდელ მსოფლიო შეჯიბრებაში.

სერიოზული ამოცანები უნდა გადაწყვიტოს ჩვენმა საზოგადოებამ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, პოლიტიკური ზედნაშენის დაწესებულებათა განვითარებაში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა. ახალი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ სრულვყოფთ სოციალისტური მართვის მთელ სისტემას და გავაფართოებთ ხალხის მონაწილეობას მართვასა და ხელმძღვანელობაში. ჩვენი დემოკრატია კლასობრივი დემოკრატიაა. მასში ადგილი არა აქვთ სოციალიზმის მტრებს, წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დამრღვევებს. სოციალისტურ დემოკრატიას საერთო არა აქვს რა ისეთ მდგომარეობასთან, როცა ყველა ყველაფერში ერევა და არავინ არაფრისათვის არ აგებს პასუხს. სოციალისტური დემოკრატიის ხელმძღვანელი და მაინტეგრირებელი ძალა იყო, არის და კვლავაც იქნება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია — ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული ძალის — მუშათა კლასის ავანგარდი.

განვლილი ოცდახუთი წელი, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ გ. ჰუსაკმა, სამუდამოდ დარჩება ჩვენი ისტორიის დიად ეპოქად, როცა მილიონობით ადამიანის თავდადებული შრომის შედეგად იშვა ახალი სოციალისტური ცხოვრება, რომელზედაც ოცნებობდნენ და რომლისთვისაც იბრძოდნენ სოციალიზმის პიონერთა თაობები.

ომით დანგრეული ქვეყანა დღეს გადაიქცა დიდადგანვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებად, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხების აყვავებასა და ბედნიერ მომავალს.

ჩვენმა სოციალისტურმა საზოგადოებამ შეძლო ჩეხი და სლოვაკი ხალხების ეროვნული, სახელმწიფო და სოციალური არსებობის მთავარი საკითხების გადაწყვეტა. მან დაამტკიცა სოციალიზმის ყოველმხრივი უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით ჩვენი ქვეყნის პირობებშიც.

აურაცხელი განსაცდელის შემდეგ ჩეხმა და სლოვაკმა ხალხებმა, როგორც იქნა, საბჭოთა კავშირთან კავშირში ჰპოვეს თავიანთი თავისუფლების გარანტია იმპერიალიზმის საფრთხის წინაშე. ყველანი კვლავ და კვლავ ვრწმუნდებოდით, რომ შეგვიძლია დავენდოთ საბჭოთა კავშირს.

საერთო ინტერესებისათვის ბრძოლაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოლიდარობის გრძნობები გვაერთიანებენ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, საერთაშორისო მუშათა კლასთან და რევოლუციურ მოძრაობასთან. ჩვენ შეგნებული გვაქვს ჩვენი ადგილი და ჩვენი მოვალეობა თავისუფლებისათვის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის დიად ისტორიულ ბრძოლაში.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა სახავს გამოსავალს ახლანდელი მდგომარეობიდან და შემდგომი განვითარების ნათელ პერსპექტივას. ყველა საფუძველი გვაქვს იმედითა და რწმენით შევყურებდეთ მომავალს. ჩვენ მივაღწევთ ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის საქმის სრულ გამარჯვებას!

* * *

ამხანაგ გ. ჰუსაკის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს. ხშირად ისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად. მოხსენების დამთავრების შემდეგ საზეიმო სხდომის მონაწილეებმა გამართეს ხანგრძლივი ოვაცია, ისმის შეძახილები „ვაშა!“, ყველა ფეხზე დგება.

დარბაზში მყოფნი ფეხზე იდგომით, ოვაციებით და შეძახილებით „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“ შეხვდნენ სსრ კავშირის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის მეთაურს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, როცა იგი ტრიბუნაზე გამოჩნდა. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

(დასასრული მე-3 გვ.).

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წერილი საბჭოთა კავშირის მშრომელებს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელ ხალხს!

ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა მღელვარებით, სიხარულითა და უდიდესი მადლობის გრძნობით აღნიშნავს ფაშიზმის უღლისაგან განთავისუფლების 25 წლისთავს, განთავისუფლებისა, რომელიც ჩვენს ფიქრებსა და გულში სამუდამოდ უკავშირდება საბჭოთა კავშირისა და მისი არმიის გამარჯვებას, მოგმართავთ გულწრფელი, ძმური და ამხანაგური სალმით.

ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი, ამ წუთებში ვიხსენებთ ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი მშრომელების ბრძოლას, ჩვენი კომუნისტური პარტიის მთელ საბრძოლო გზას. ჩვენ ვიცით, რა მჭიდროდ დაკავშირებულია ჩეხებისა და სლოვაკების ბედი ოქტომბრის მემკვიდრეობასთან, ვ. ი. ლენინის დიად საქმესთან, სოციალიზმის პირველ სამშობლოსთან — საბჭოთა კავშირთან და მის ხელმძღვანელ ძალასთან — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

სამედისწერო წუთებში ჩვენს ხალხებს არაერთგზის უთხოვიათ საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერა და ძმური დახმარება, რასაც იგი ყოველთვის გვიწევდა. ეს მოხდა კრიზისულ ოცდაათიან წლებში და მძიმე ანტიფაშისტური ბრძოლის დროს. ფაშისტური მონობის წინააღმდეგ ბრძოლამ, ერთად დაღვრილმა სისხლმა და მსხვერპლმა ყველაზე უკეთ დაადასტურა ამ ძმური კავშირის სიმტკიცე, რომლის დარღვევისა და შესუსტების უფლებას არასოდეს არავის არ მივცემთ.

ჩვენს ხალხს მტკიცედ სწამდა და იმედი ჰქონდა, რომ ფაშისტთა ურდოებს უკანასკნელ დარტყმას აგემებდნენ ისინი, ვის სამხედრო ქუდებსაც ამშვენებდა საბჭოთა კავშირის ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი — კლასობრივი ძმობის სიმბოლო. 1945 წლის მაისმა დაამტკიცა, რომ ეს იმედები საფუძვლიანი იყო. ამ დღეებიდან დაწყებული, ჩვენი მშრომელი ხალხი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ყველაზე ნათელ ფურცლებს წერს თავის ისტორიაში.

ვითვალისწინებთ რა მის დადებითს გამოცდილებას და გამოგვაქვს რა დასკვნები 1968 წლის რეაქციული და მემარჯვენე ძალების გამოსვლებიდან, ამ საზეიმო დღეებში ჩვენ განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ, რომ ჩვენი სამშობლოს უშიშროება და სუვერენიტეტი შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სსრ კავშირთან და მის ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მეგობრობით.

მიიღეთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ხალხის გულწრფელი მადლობა 1945 წელს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში უანგარო ძმური დახმარებისათვის, მადლობა მთელი იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ ჩვენს ქვეყანას მისი სოციალისტური მშენებლობის წლებში, ძმური მადლობა ინტერნაციონალური დახმარებისათვის, რომელიც 1968 წლის აგვისტოში გაგვიწიეთ.

დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სწორედ დღეს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ღრმა ტრადიციულმა მეგობრობამ ხორცი შეისხა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულების დადებით. ეს ხელშეკრულება მიგვაჩნია ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობის, ჩვენი ქვეყნის აყვავებისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველყოფის მტკიცე გარანტიად.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! ჩვენ მიგვაჩნია, რომ განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ვართ მსოფლიო სოციალისტური სისტემისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი გამარჯვების შედეგად შექმნილ ხელსაყრელ პირობებში იშვა. შეგნებული გვაქვს რა, რომ სოციალისტურ ბანაკს ვეკუთვნით, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ინტერნაციონალური ამოცანა.

ჩვენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდამხარ განვახორციელებთ სოციალური სამართლიანობის, სოციალისტური ჰუმანიზმის, კაცობრიობის მთელი შემოქმედებითი ძალების პროგრესისა და განვითარების იდეებს. ჩვენ, მუშათა პირველი პრეზიდენტის — კლემენტ გოტვალდის ერთგულნი, ამ გზით ვივლით: „საბჭოთა კავშირთან მარად!“.

ფაშიზმზე გამარჯვებისა და მამაცი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების სახელოვანი წლისთავის წუთებში ლენინიზმის საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენით გიძღვნით თქვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელებს, საბრძოლო კლასობრივ და ძმურ სალამს.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელნი.

(მიღებულია მიტინგზე 8 მაისს პრაღის გრადში).

ძმური ერთიანობის ვითარებაში

პრაღა, 6 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის, სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში **ს. ვ. ჩერვონენკომ** დღეს დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით, საბჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაცია, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები.

დარბაზობაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ჰუსაკი**, ჩეხოსლოვაკიის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა.** მან საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელმოწერილი ხელშეკრულება დაახასიათა როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. ხელშეკრულება, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, იქნება ხალხთა სოციალისტური მონაპოვრების, ჩვენი ქვეყნების უშიშროებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საიმედო იარაღი, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის საზღვრების შეუვალობის მტკიცე გარანტია.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ლ. შტროუგალმა.** ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, თქვა ლ. შტროუგალმა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება გახდება ჩვენი ურთიერთმეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

ა. ნ. კოსიგინისა და ლ. შტროუგალის სიტყვებს ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ ძმური ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა.

სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები პრაღაში

პრაღა, 7 მაისი. (ტასსი). პრაღაში საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიისა და მთავრობის დელეგაციები.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ჟივკოვი.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ნორდენი.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გომულკა**; დელეგაციის შემადგენლობაშია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ცირანკევიჩი.**

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ი. პეცანი.**

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ლოშონცი**; დელეგაციის შემადგენლობაშია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ნიერში.**

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოსულ სოციალისტური ქვეყნების პარტიისა და მთავრობის დელეგაციებს შეხვდნენ გ. ჰუსაკი, ლ. შტროუგალი, ი. კემპნი და ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

მეოთხედი საუკუნის წინათ მიწყდა ომის უკანასკნელი ზალპები. დამთავრდა ჰიტლერელებისა და მათი დამქაშების თითქმის შვიდი წლის ბატონობა ჩეხოსლოვაკიაში. ახალი ცხოვრებისათვის აღორძინებული, ფერადფერადი ალმებითა და ყვავილებით მორთული პრაღა სიხარულით ეგებებოდა განმათავისუფლებელ მეომრებს. ჩეხებისა და სლოვაკების მშვენიერ მიწა-წყალზე თავისუფლების განთიადი დგებოდა.

ბევრი რამ განვიცადეთ მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს გარშემო. მოვიდა ადამიანთა ახალი თაობა, რომლებისთვისაც მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ და მხოლოდ ისტორიაა. მაგრამ ხალხთა მეხსიერებიდან ვერასოდეს ვერ წაიშლება მოგონებანი მაისის სახარულო დღეებზე, გამარჯვების — ჩვენი საერთო გამარჯვების დღეებზე, ამხანაგებო!

მე, ისევე როგორც ბევრ სხვა საბჭოთა ადამიანს, პირველად თქვენს ქვეყანაში ყოფნა მომიხდა მაშინ, როცა კარპატებში სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ფაშისტ დამპყრობთა განდევნა ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყლიდან. არ დავმალავ, რომ ჩემთვის როგორც იმ ბრძოლების ერთ-ერთი მონაწილისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი ხალხების სახელოვანი წარსულის ეს ფურცლები. შეუძლებელია დაივიწყო ის გულთბილობა და გულითადობა, რასაც იჩენდნენ ჩეხები და სლოვაკები საბჭოთა მეომრებისადმი.

ჩვენ ყველანი — საბჭოთა დელეგაციის წევრები — დიდად აღფრთოვანებული ვართ, რომ ფაშისტური ბატონობისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს თქვენთან ერთად ვეგებებით. ამ დღეებში კვლავ შევხვდით მეგობრებს, ომის წლების თანამებრძოლებს. კვლავ ვიგრძენით ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა გულწრფელი პატივისცემა საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობისადმი, რომელმაც ხერხემალი გადაუტეხა ფაშისტურ ურჩხულს, ვიგრძენით მეგობრობის, გულითადობის, ამხანაგობის თბილი სუნთქვა.

და მე მინდა უწინარეს ყოვლისა მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძლებს ამ დღესასწაულზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოწვევისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ დელეგაციის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის განვითარებას, კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ხალხის მეგობრობას, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტების მეგობრობას.

წელს გამარჯვების დღეები მიმდინარეობს განსაკუთრებულ ატმოსფეროში. ჩვენი ზეიმი თითქოს ეხმიანება ლენინის იუბილეს, რომელიც სულ ახლახან ფართოდ ვიზეიმეთ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიაში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, რომელიც აღნიშნა მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ. კომუნისტები, მშრომელები ანგარიშს აბარებდნენ ბელადის ხსოვნას და თავიანთ რევოლუციურ სინდისს მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ამოწმებდნენ მიღწეულსა და თავიანთ მომავალ გეგმებს ლენინის მიხედვით, მისი მოძღვრების, მისი ანდერძის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ ფაშიზმის განადგურება, რაშიაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ლენინის ქვეყანამ, გახდა ამოსავალი პუნქტი ლენინის იდეების ახალი გამარჯვებებისათვის.

ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის დავალებით, სსრ კავშირის კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მოგილოცოთ ამ საზეიმო სხდომის მონაწილეებს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებსა და ყველა მშრომელთ ფაშისტური ბატონობისაგან განთავისუფლების 25 წლისთავი.

მეორე მსოფლიო ომზე ბევრი რამ ითქვა, ბევრი დაწერეს პოლიტიკოსებმა და ლიტერატორებმა, ისტორიკოსებმა და ბრძოლების ვეტერანებმა. მაგრამ ამ დღეებში აზრი ისევ და ისევ უბრუნდება ომის ამბებს, მის შედეგებსა და მათს პოლიტიკურ და სოციალურ მნიშვნელობას.

ეს იყო არა მარტო არმიების ბრძოლა, არამედ ორი საზოგადოებრივი სისტემის შერკინება. ეს იყო ხალხთა ბრძოლა იმპერიალისტური სამყაროს ყველაზე აგრესიული ძალების წინააღმდეგ. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა მეომრები, — მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის მეომრები, — იცავდნენ დიდი ოქტომბრის საქმესა და იდეებს, თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს, სხვა ხალხებისა და სახელმწიფოების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა. მაგრამ ომის წლებმა ბევრი რამ გვასწავლა, ყველას უჩვენა, რომ იმპერიალისტთა აგრესიულ ზრახვებს, თუ მათ ჩასახვისთანავე არ აღკვეთთ, შეუძლიათ დიდი უბედურება დაატეხონ თავს კაცობრიობას. ომის წლებმა მთელ კაცობრიობას უჩვენა, რომ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა მთავარი დასაყრდენი, მთავარი ძალა, რომელსაც უნარი შესწევს მოიგერიოს აგრესორი, გახდა სოციალიზმი. ამ წლებმა გვიჩვენა, რომ ყველაზე თანმიმდევრული, ყველაზე მტკიცე მებრძოლები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ჩვენს დროში კომუნისტები არიან.

ფაშიზმის კრახმა, რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული რაზმის დამარცხებას ნიშნავს, გამოიწვია კაპიტალიზმის მთელი მსოფლიო სისტემის შესუსტება. ბევრი განთავისუფლებული ქვეყნის მშრომელებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ ესწრაფვიან სოციალური წყობილების რადიკალურ შეცვლას. 1945 წლის გაზაფხული ბევრი ევროპელი ხალხისათვის ახალი ისტორიული ეპოქის გაზაფხული გახდა. მთელი რიგი ქვეყნების მშრომელებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და გადავიდნენ სოციალიზმის მშენებლობაზე. ასე წარმოიშვა სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ეს იყო გიგანტური გარდატეხა ევროპის ისტორიაში, მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური მშენებლობის საქმეს მტკიცედ ჩაუდგა სათავეში კომუნისტური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კლემენტ გოტვალდი.

ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ გაათავისუფლა სოციალისტურ ქვეყნებში მილიონობით მშრომელი ადამიანის დიდი შემოქმედებითი ძალები. ოცდახუთი წლის განმავლობაში შევიძინეთ სოციალიზმის საფუძვლების შექმნის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მდიდარი, მრავალმხრივი გამოცდილება. მომავალ წლებში ყოველივე ეს, უეჭველია ახალ დიდ მიღწევებს მოუტანს სოციალისტურ ქვეყნებს.

ომისშემდგომ წლებში იმპერიალისტებმა სცადეს შეემოწმებინათ სოციალიზმის პოზიციების სიმტკიცე ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში, მაგრამ ეს ცდები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა და მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ წარიმართებოდა. ასე იქნება მომავალშიც. მსოფლიოში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს სოციალიზმის დამარცხება, ვინაიდან სოციალიზმი — ეს არის ხალხთა ნება, ხალხთა საქმე, ხალხთა ბედნიერება!

ახლა განსაკუთრებით დიდია სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება და გავლენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი და პროგრესული მოძრაობებისათვის თანმიმდევრული მხარდამჭერი, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების აქტიური დაცვა სოციალისტური თანამეგობრობისადმი სიმპათიით აღავსებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს, აფართოებს და აძლიერებს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფრონტს. აქტიურად ეხმარებიან რა ხალხებს, რომლებიც იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, — კუბა იქნება ეს, ვიეტნამი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები თუ მსოფლიოს სხვა რაიონები, — მოძმე ქვეყნები ცხადყოფენ სოციალისტური საგარეო პოლიტიკის კეთილშობილებასა და ქმედითობას, იმ ფაქტს, რომ ეს პოლიტიკა შეესაბამება კაცობრიობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს.

უკანასკნელ დღეებში კიდევ ერთი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო — კამბოჯა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების თავხედური შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი. კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. იმპერიალისტთა მიზეზით დღეს ომის ცეცხლში პრაქტიკულად გახვეულია მთელი ინდოჩინეთი. ეს ავაზაკური მოქმედება ამხილებს ამერიკის იმპერიალიზმის ნამდვილ სახეს, რომელიც მოურიდებლად არღვევს ყოველგვარ საერთაშორისო შეთანხმებებს, ფეხქვეშ თელავს პატარა ქვეყნების სუვერენიტეტს, ცდილობს წაართვას მათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ხელი შეუშალოს მათს სოციალურ პროგრესს.

ამერიკის აგრესიის გაფართოება უთუოდ წააწყდება ინდოჩინეთის ხალხთა გადამწყვეტ წინააღმდეგობას, მით უმეტეს, რომ მათ მხარეზე არიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლნი, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები მთელ მსოფლიოში. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამერიკელ აგრესორთა ახალი დანაშაული მათ ისეთსავე უსახელო და სამარცხვინო შედეგებს მოუტანს, როგორიც მოუტანა ბინძურმა ომმა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

საფრთხეს, რომელსაც მშვიდობას უქმნის უკვე დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილება, ჩვენ ვუპასუხებთ მთელი სიფხიზლით, აგრესორთა ხრიკების მოგერიებით, სოციალიზმის სამყაროს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებით. და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა. მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებშიც კი სულ უფრო ძლიერ გაისმის ხმები, უმჯობესია ფრთხილად ვიყოთ, უმჯობესია კი არ გავაფართოოთ საშიში დაძაბულობის კერები, არამედ მოვიფიქროთ საგარეო პოლიტიკის უფრო რეალური გზები.

ამხანაგებო!

ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვება ხალხთა დიადი გამარჯვებაა. მისი ღირსეული დაგვირგვინება შეიძლება იყოს და კიდეც უნდა იყოს ურღვევი მშვიდობის დამყარება ევროპაში. ჩვენ პაციფისტურ ილუზიებს არ ვქმნით, მაგრამ ნათლად ვხედავთ, რა დიდია დღეს ჩვენი კონტინენტის მტკიცე მშვიდობისათვის მებრძოლი ძალები. ევროპაში, რომლის მოსახლეობის ნახევარი სოციალიზმის ქვეყნებში ცხოვრობს, შეიძლება შეიქმნას და კიდევაც უნდა შეიქმნას ნამდვილი უშიშროების ვითარება ყველასათვის. ამის საფუძველი იქნება ცნობა ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელი საზღვრების ურყევობა, ხელი აიღონ ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

სოციალისტური სახელმწიფოები მტკიცედ უჭერენ მხარს ევროპის ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასა და ფართოდ განვითარებას. ამით ხელმძღვანელობენ სოციალისტური სახელმწიფოები, როცა შემოაქვთ წინადადება, რომ სრულიად ევროპის თათბირზე განვიხილოთ ევროპის ზოგიერთი გადაუჭრელი პრობლემა. იმათ, ვინც ცდილობს ჩრდილი მიაყენოს სოციალისტური ქვეყნების განზრახვებს ამ წინადადებასთან დაკავშირებით, ტყუილად მიაჩნიათ, რომ ასეთი პრობლემების განხილვა და გადაჭრა საჭიროა მხოლოდ ჩვენთვის, სოციალისტური ქვეყნებისათვის. იგი თანაბრად საჭიროა ევროპის ყველა ქვეყნისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.

ევროპის გადაქცევა მშვიდობის კონტინენტად ევროპის ყველა სახელმწიფოს საქმეა. ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გერმანელ მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება, საერთაშორისო ცხოვრებაში მისი როლის შემდგომი ზრდა ევროპის ხალხთა უშიშროების სერიოზული ფაქტორია.

ევროპის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცების საქმეში არსებითი წვლილის შეტანა შეუძლია აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. სოციალისტური სახელმწიფოები და ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი სავსებით საფუძვლიანად მოითხოვენ შეიქმნას იმის მტკიცე გარანტიები, რომ არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს გერმანიის მიწა-წყლიდან არ წარმოიშვას ახალი აგრესიის საფრთხე. ასეთია პოტსდამის ისტორიულ გადაწყვეტილებათა აზრი და სულისკვეთება. ასეთია ჩვენი კარდინალური ხაზი, კერძოდ იმ მოლაპარაკებაშიც, რომელიც ახლა წარმოებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ასეთ საფუძველზე შეიძლება ნამდვილად გადაიჭრას პრობლემები, რომლებიც არსებობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის.

როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვა რაიონებშიც საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, თავის მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად არ დაიშურებს ძალღონეს, რათა ისე მოაწყოს საერთაშორისო საქმეები, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შეეძლოთ უშფოთველად განაგრძონ მშვიდობიანი მშენებლობა, თვითეული ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ მისი ხვალინდელი დღე მშვიდობიანი დღე იქნება.

ამხანაგებო! მეორე მსოფლიო ომის ამბებმა უმაგალითო ძალით გაუსვა ხაზი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას მათი საარსებო ინტერესების დაცვაში. ომის პერიოდში, ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიჭედა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების საბრძოლო მეგობრობა. დიდ კმაყოფილებას მანიჭებს ამ ტრიბუნიდან მხურვალე სალამი გადავცე ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ მებრძოლ მეგობრებს — ჩეხოსლოვაკიის კორპუსის ყოფილ მეომრებს, რომლებიც საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ ხარკოვთან და კიევთან, დუკლაზე, ოსტრავასა და პრაღასთან, სლოვაკთა აჯანყების და პრაღის აჯანყების გმირებს, იატაკქვეშელ ვეტერანებს, მამაც პარტიზანებს, სახალხო წინააღმდეგობის ყველა მებრძოლს. ამ ადამიანებმა არა მარტო ზიდეს თავიანთი მხრებით ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე, არამედ აგრეთვე მათი უმრავლესობა გახდა ახალი, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის აქტიური მშენებელი.

ომისა და წინააღმდეგობის ბევრი ვეტერანი ახლა აქ არის, ამ დარბაზში. ჩვენ სულით და გულით მოგესალმებით, ძვირფასო თანამებრძოლებო და მეგობრებო. ჩვენ მივესალმებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ გუსტავ ჰუსაკს — სლოვაკთა ეროვნული აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელს. ჩვენ მივესალმებით ჩეხოსლოვაკიური კორპუსის ყოფილ სარდალს გენერალ ლუდვიკ სვობოდას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს, მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატს. გისურვებთ ყველას, მებრძოლო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ენერგიას, მხნეობას, წარმატებებს ყველა თქვენს საქმეში სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის საკეთილდღეოდ.

ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის გამარჯვებით შესაძლებელი გახდა ნამდვილად მეგობრული, ნამდვილად ძმური ურთიერთობის დამყარება ჩვენს სახელმწიფოებს შორის.

ჩვენ, კომუნისტებს, არა გვჩვევია გამარტივებულად წარმოვიდგინოთ სოციალისტურ სახელმწიფოთა მეგობრობის ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენ ვიცით, რომ წარსულის მემკვიდრეობად ხალხთა შეგნებაში კიდევ დიდხანს რჩება შოვინისტური ცრურწმენებიც და ეროვნული შეზღუდულობაც, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ნერგავდნენ და ავითარებდნენ ექსპლოატატორული კლასები. ამ ბურჟუაზიულ მემკვიდრეობას კომუნისტები უპირისპირებენ ყველა მშრომელთა მიზანსწრაფულ და სისტემატურ აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სოლიდარობის სულისკვეთებით. უინტერნაციონალიზმოდ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კომუნისტური იდეოლოგია. თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის გარეშე ბოლომდე ძლევამოსილი ვერ იქნება ვერც ერთი სოციალისტური რევოლუცია.

ამხანაგებო! ჩვენ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ამხანაგ ჰუსაკის მკაფიო და შინაარსიანი მოხსენება, რომელშიც მოცემულია სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის განვითარების ძირითადი შედეგების ღრმა ანალიზი, გამოტანილია პრინციპული დასკვნები ამასწინანდელი პოლიტიკური კრიზისიდან. ჩვენ მადლობელი ვართ, რომ ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები მაღალ შეფასებას აძლევენ ინტერნაციონალურ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა გაუწიეს ჩეხოსლოვაკიას.

ჩემი მხრივ მინდა ვთქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი სრული გაგებით ეკიდებიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობის ახლანდელ პოლიტიკურ კურსს. თქვენ მიერ დასახული პარტიული კადრების იდეური და ორგანიზაციული შეკავშირების, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცების, სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, ფედერაციული წყობილების შემდგომი განვითარებისა და ამის საფუძველზე ჩეხებისა და სლოვაკების ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცების, საზოგადოებრივი შრომის უკეთესი ორგანიზაციის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ბაზაზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანები უაღრესად დიდმნიშვნელოვანია, და მათი სწორად გადაწყვეტა, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის განმტკიცების საქმეს.

სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მეგობრები ხედავენ მკაფიო ზღვარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და იმ განვითარებას შორის, რომელმაც პარტია და ხალხი ააცდინა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის კურსს. 1968 წლის იანვრის გადაწყვეტილებათა პოზიტიური მხარეები დაადასტურეს და დააკონკრეტეს ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის აპრილის, მაისის, სექტემბრის პლენუმებმა და 1970 წლის იანვრის პლენუმმა. ახლა უკვე ყველასათვის ნათელია იმათი მოქმედება, ვინც სიტყვით ფიცულობდა, რომ ერთგული იქნებოდა სოციალისტური იდეალებისადმი, საქმით კი ფუშავდა გადაუდებელი აღმშენებლობითი ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტას, ვინც სოციალიზმის გზას გადაუხვია და დაუკავშირდა საზღვარგარეთის იმპერიალისტურ წრეებს, ფაქტიურად ასრულებდა რა მათს ნებას. მემარჯვენეთა მთელი „ნოვატორობა“ ნიშნავდა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიღწევათა უარყოფას. ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე მოძმე ქვეყნებშიც, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების უსაფუძვლო კრიტიკას, ცდას მოეწყვიტათ და გაეთიშათ ჩეხოსლოვაკია მეგობრებისა და მოკავშირეებისაგან სოციალისტურ სამყაროში, გაებათილებინათ 1948 წლის თებერვლის მონაპოვარნი და საბოლოო ანგარიშით აღედგინათ ქვეყანაში ბურჟუაზიული წესწყობილება.

სოციალიზმის მტრების ეს ყალბი „ნოვატორობა“ მაშინვე ქაოსად და არეულობად იქცა. მას მოჰყვა ქვეყნის მთელი ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმის დარღვევა. გასაკვირველი როდია, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ემიჯნებოდა მაღალფარდოვანი ფრაზის „გმირებს“. ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა, გლეხობამ, მოწინავე ინტელიგენციამ უარყვეს გზა, რომლისკენაც ეწეოდნენ ქვეყანას ისინი, ვინც დაკარგა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, ვინც ფარხმალი დაყარა ანტისოციალისტური, კონტრრევოლუციური ძალების წინაშე. ხალხის ჯანსაღი ძალების შეკავშირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მარქსისტულ-ლენინურმა ბირთვმა, ათეულ და ასეულ ათასობით კომუნისტმა და უპარტიომ, რომლებიც გადაჭრით გამოვიდნენ სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად. ხალხი გაჰყვა კომუნისტ-ლენინელებს, ინტერნაციონალისტებს, პარტიას, რომელმაც მტკიცედ თქვა: კონტრრევოლუცია ვერას გახდება! ჩეხოსლოვაკია სოციალისტური იყო, არის და იქნება!

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. იმპერიალიზმსა და მის დამქაშებს არა სურთ შეურიგდნენ თავიანთი ზრახვების ჩაფუშვას. მაგრამ ჩვენ, არსებითად, არც მოველით, რომ ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი ტაშს დაუკრავენ მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცებას. ისინი ცდილობდნენ და კვლავაც ეცდებიან გამონახონ ყოველგვარი შესაძლებლობა, ყოველგვარი შანსი, რათა თავგზა აუბნიონ ადამიანებს, ასე თუ ისე შეასუსტონ სოციალისტური სახელმწიფოები, შეასუსტონ ჩვენი საბრძოლო კავშირი. მაგრამ სოციალიზმის მტრებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი იმედები არ განხორციელდება — არასოდეს არ განხორციელდება! მათს ხრიკებს ჩვენ ვუპასუხებთ გაორკეცებული, გასამკეცებული სიფხიზლით; ვუპასუხებთ ჩვენი სოციალისტური, კომუნისტური ამოცანების თანმიმდევრული გადაწყვეტით; ვუპასუხებთ რევიზიონისტული ელემენტების მტკიცედ ალაგმვით, რა სამოსელშიც უნდა ეხვეოდნენ ისინი.

თავის დროზე აქ, პრაღაში — ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სრულიად რუსეთის VI კონფერენცია. კონფერენციის გადაწყვეტილებანი ახლაც მარქსისტულ-ლენინური პარტიის ჩამოყალიბებისა და წრთობისათვის ბრძოლაში პრინციპულობის მკაფიო მაგალითად რჩება. გარეკა რა მენშევიკები, გაწმინდა რა პარტიის რიგები ოპორტუნისტებისაგან, კონფერენციამ ხელი შეუწყო პროლეტარული ავანგარდის გამოჭედვას, რომელიც სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში პირველ ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას.

მაგრამ ერთიანობა კომუნისტებს სჭირდებათ არა მარტო მაშინ, როცა ისინი ამზადებენ რევოლუციას, არა მარტო მაშინ, როცა მასებს მიუძღვიან ძველი საზოგადოების წინააღმდეგ იერიშისათვის, ერთიანობა არანაკლებ საჭიროა ახალი ცხოვრების მშენებლობის პროცესშიც. გამოცდილება გვასწავლის, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია მარქსისტულ-ლენინური პარტიის შეკავშირებაზე, მის უნარზე, რომელიც განსაკუთრებით მოწმდება ისტორიის მკვეთრი შემობრუნების დროს, გამოიყვანოს როგორც თანამოაზრეთა დარაზმული კავშირი. ნება მიბოძეთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებს ვუსურვო ახალი წარმატებანი ერთადერთ სწორ, კომუნისტებისათვის ერთადერთ მისაღებ საფუძველზე — მარქსიზმ-ლენინიზმის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე პარტიული რიგების შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ საფუძველზე შეკავშირებული ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე მდგომ რთულ ამოცანებს, და, მუშათა კლასის, კოოპერაციული გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის საერთო მეცადინეობაზე დაყრდნობით, ახალ წარმატებებს მიაღწევენ სოციალიზმის მშენებლობაში!

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი ჩეხოსლოვაკიაში დასასრულს უახლოვდება. ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მოლაპარაკება ამხანაგებთან ჰუსაკთან, სვობოდასთან, შტროუგალთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა მოღვაწეებთან. ამ საუბრებმა, რომლებიც მიმდინარეობდა ნამდვილი, გულწრფელი მეგობრობის, ამხანაგობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ატმოსფეროში, ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, ჩვენი ქვეყნების მთავრობების [illegible] შეთანხმებანი, [illegible] სრული ურთიერთგაგება. ჩვენ შევ[illegible] საშუალებას მოგვცემენ გაფართოვდეს ჩვენი პარტიების კავშირი, განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობა ეკონომიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში, უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ ჩვენი მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე.

მოლაპარაკების შედეგად ხელი მოვაწერეთ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ დოკუმენტის შინაარსსა და მნიშვნელობას. თვითეული მისი მუხლი გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, იმისადმი მისწრაფებით, რომ დავეხმაროთ ერთმანეთს, ერთად დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვარნი, ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, ერთად ვიაროთ სოციალური პროგრესის ახალი სიმაღლეებისაკენ. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის ეს საპროგრამო დოკუმენტი მთელი თავისი არსით მკაფიოდ და ზუსტად ამბობს — საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობა, ჩვენი პარტიებისა და ხალხების მეგობრობა მტკიცე და ურყევია!

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს მეგობრებს ახარებს თქვენი სიხარული, თქვენსავით კმაყოფილებას განიცდიან უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმატებებით, ჯეროვან პატივს სცემენ იმ ვაჟკაცობას, რითაც ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები თავს აღწევენ უკანასკნელი წლების ძნელ განსაცდელს.

ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების კონსოლიდაციის წარმატებითი პროცესი, ჩეხოსლოვაკიის მუდმივად მზარდი მეგობრობა მის სოციალისტურ მოკავშირეებთან — ყოველივე ეს ღირსეულ პასუხს აძლევს სოციალიზმის მტრებს, თავისუფლების, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოშურნეებს. აქ, პრაღის გრადში, ისევე როგორც მთელ ჩეხოსლოვაკიაში, გამოვლინდა კომუნისტური იდეების უძლეველი ძალა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და ნების ერთიანობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ქმედითობა.

გაუმარჯოს სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიას!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას — სოციალიზმისათვის ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ურღვევ მეგობრობას!

დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური სახელმწიფოების მძლავრი თანამეგობრობა!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, ხშირად ისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. იმართება ოვაცია, ყველა ფეხზე დგება. საზეიმო სხდომის მონაწილენი ერთხმად გაიძახიან „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „მეგობრობა — მეგობრობა“).

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელებმა.

საზეიმო სხდომა დამთავრდა. დამსწრენი ფეხზე დგებიან და ასრულებენ პროლეტარულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

გვირგვინებით შეამკეს გმირთა ძეგლები

პრაღა, 7 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). პრაღის ოლშანის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალული არიან ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრები, დღეს გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი.

ძეგლთან ჩამწკრივებული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა არმიების ქვედანაყოფების საპატიო ყარაული. სამგლოვიარო მელოდიის ხმებში ძეგლი გვირგვინით შეამკეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჰუსაკმა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ლ. სვობოდამ**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ლ. შტროუგალმა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარემ **დ. განესმა** და ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა.

შემდეგ ძეგლი გვირგვინით შეამკო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. ე. შელესტმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. მ. მაშეროვმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **კ. თ. კატუშევმა**.

გვირგვინებით შეამკეს ძეგლი აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსულმა პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებმა: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ტ. ჟივკოვის** მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის **პ. ლოშონცის** მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ა. ნორდენის** მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. გომულკას** მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციამ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ი. პეცანის** მეთაურობით.

ძეგლი გვირგვინით შეამკო აგრეთვე საბჭოთა სამხედრო დელეგაციამ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, საბჭოთა კავშირის მარშლის **მ. ვ. ზახაროვის** მეთაურობით.

შემდეგ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები გაემართნენ ვიტკოვის მთაზე, სადაც გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

მოძმე ხალხის დღესასწაული

მოსკოვში

7 მაისს მოსკოვში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს. კრების მონაწილენი გულითადად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ალოიზ ინდრას მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში ვლადიმერ კოუცკის, სხვა ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს.

სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, ვ. ვ. გრიშინი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ დელეგაციის მეთაურის ალოიზ ინდრას სიტყვას. (საქდესი).

თბილისში

7 მაისს ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მოაწყეს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკურმა განყოფილებამ.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა დ. ლორთქიფანიძემ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ა. კელენჯერიძემ.

ეროვნული დღესასწაულის გამო ჩეხოსლოვაკიელ მშრომელებს გულითადად მიესალმნენ პროფესორი ი. კაპეტივაძე, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი დ. მხეიძე და სხვები.

კრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა ჩეხის სოციალისტური აკადემიის თავმჯდომარემ ი. პრჩაკამ.

კრებამ მთელი დარბაზის ერთსულოვანი ტაშის გრიალში მიიღო მისასალმებელი წერილი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის და ფაშიზმისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეთა დიდი ჯგუფი.

□ □

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ი. ლოლაშვილმა.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრობის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. ნ. შ. ცხაკაია სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილი. (საქდესი).

დიადი გამარჯვება

პრესკონფერენცია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

7 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ მოაწყო პრესკონფერენცია რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების ჟურნალისტებისათვის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებისათვის.

შესავალი სიტყვით პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ჭიაურელმა.

პრესკონფერენციას ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, ოლქის შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვ. კ. ანდრიუშენკო.

მან თქვა, რომ პრესკონფერენციის მონაწილეთაგან მიღებულია მთელი რიგი შეკითხვები დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების სხვადასხვა ასპექტის შესახებ და უპასუხა ერთ-ერთ შეკითხვაზე — დიდი სამამულო ომის ძირითადი ეტაპების, გადამწყვეტი ბრძოლების თაობაზე. ვ. კ. ანდრიუშენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომი ძლიერი და ვერაგი მტრის — ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ უაღრესად მძიმე იყო და მოითხოვა საბჭოთა ხალხის მთელი ძალებისა და ენერგიის გიგანტური დაძაბვა, ჩვენი შეიარაღებული ძალების მხედრული ოსტატობა, და თქვა, რომ დიად ბრძოლას მეთაურობდა ჩვენი კომუნისტური პარტია, რომელიც იყო მტრისადმი მტკიცე წინააღმდეგობისა და თვით ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე მისი სრული განადგურების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი.

ოთხი წლის მანძილზე ბრძოლებით მივდიოდით გამარჯვებისაკენ. გამარჯვების გზაზე დაუვიწყარი ნიშანსვეტები იყო ბრძოლა მოსკოვისათვის, ბრძოლა ვოლგაზე, კურსკის ბრძოლა, ფაშისტთა ჯარების განადგურება უკრაინასა და ბელორუსიაში, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის განთავისუფლება და ბოლოს, დამამთავრებელი ბრძოლა ბერლინისათვის.

მსოფლიო ომის დამამთავრებელი აქტი იყო ბერლინის გრანდიოზული ოპერაცია, რომლის დროს დაამარცხეთ მოწინააღმდეგის თითქმის მილიონიანი დაჯგუფება. წითელი არმიის ჯარები შეხვდნენ ანტიჰიტლერულ კოალიციაში ჩვენი მოკავშირეების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს. ამრიგად, ფაშისტური გერმანია განადგურდა, მისი მმართველები იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ უსიტყვო კაპიტულაციის აქტისათვის.

დიდ სამამულო ომში პარტიზანული მოძრაობის როლი და მნიშვნელობა დაახასიათა ბელორუსიის სსრ ნოვობორისოვის არალეგალური ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა, 208-ე პარტიზანული პოლკის პარტორგმა, ამჟამად სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ დოცენტმა დ. მ. იოსელიანმა.

კონფერენციის მონაწილეთა თხოვნით შეკითხვაზე დიდ სამამულო ომში ზურგის როლის შესახებ უპასუხა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ზურგის შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ნ. ს. ზრაჩოვმა.

გენერალ-ლეიტენანტმა ანდრიუშენკომ წაიკითხა შემდეგი შეკითხვა: „დასავლეთის პროპაგანდა ეწევა აღვირახსნილ ცილისმწამებლურ კამპანიას საბჭოთა კავშირისა და ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, ცდილობს დააკნინოს მათი გადამწყვეტი როლი ფაშისტური გერმანიის დამარცხებაში. კერძოდ, ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა რ. ჯონსონის წიგნი „გზა რუსეთისაკენ“, რომლის ავტორი ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან ლენდ-ლიზით მიწოდებანი რომ არ ყოფილიყო, სსრ კავშირი ომს წააგებდაო. რა შეგიძლიათ გვითხრათ ასეთი მონაჭორების გამო?“

ამ კითხვაზე ვრცლად უპასუხა თბილისის ოფიცერთა სახლის საბჭოსთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. ი. ბალძემ. დასაბუთებულად, უტყუარი ფაქტებისა და ციფრების საფუძველზე მან ამხილა მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორთა ამაო ცდები და დაამტკიცა, რომ ჰიტლერული გერმანიის დამარცხებაში გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა.

ჟურნალისტებმა შეიტანეს ასეთი შეკითხვები: „პრესაში ბევრი იწერება სამხედრო საქმეში მომხდარი რევოლუციის შესახებ. რა არის მისი არსი?“ და კიდევ: „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1967 წელს, შემცირდა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა. ამ პირობებში როგორ წყდება სამხედრო მოსამსახურეთა სწავლებისა და აღზრდის საკითხები, რა თავისებურებანი შეიტანა ამან მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მუშაობაში?“, „რა წარმატებებით შეხვდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების 25 წლისთავს?“. ამხ. ანდრიუშენკომ დაწვრილებით გააშუქა ეს საკითხები.

„როგორია საბრძოლო ტრადიციების ერთგულების სულისკვეთებით მეომრების აღზრდის, აგრეთვე წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ამოცანები და დღევანდელი თავისებურებანი?“. ეს საკითხი პრესკონფერენციაზე გააშუქა ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ი. მ. დრაჩოვმა.

— ჩვენი არმიის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, — აღნიშნა ამხ. დრაჩოვმა, — საფუძვლად უდევს, უწინარეს ყოვლისა, კომუნიზმის ერთგულება, ლენინის ანდერძის ერთგულება, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. ამ ტრადიციებს აქვს უფროს თაობათა მიერ რევოლუციური და მხედრული მოვალეობის თავდადებით შესრულების მაგალითის დიდი ძალა. საბრძოლო ტრადიციებით მეომართა აღზრდაში დროის თავისი თავისებურებანი შეაქვს. ეს არის საერთაშორისო ვითარების სირთულეც, იმპერიალიზმის გაზრდილი აგრესიულობაც, მასობრივი მოსპობის იარაღით არმიების აღჭურვაც. ყოველივე ეს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ამხ. დრაჩოვმა ილაპარაკა, თუ როგორ წყდება პრაქტიკულად მეომართა აღზრდის საკითხები და ასევე ვრცლად ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მთელი მოსახლეობის, უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

პრესკონფერენციის შედეგები შეაჯამა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. კ. ანდრიუშენკომ. (საქდესი).

ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ

შინმოუსვლელი

ყოველ დღესასწაულზე, როცა სამი-ოთხი უქმე დღე ერთმანეთს გადაებმება, ერთბაშად ცოცხლდება ევგენი თოფურიას ძველი სახლი და ეზო. აქ, მშობლიურ კაპანაში (აბაშის რაიონშია ეს მშვენიერი სოფელი) მოხუცის მოსანახულებლად ჩამოდიან შვილები და შვილიშვილები, რომ მამაპაპეულ კერაზე ერთად გადაიხადონ დღესასწაული, ერთად ილხინონ და იხუმრონ.

სხვადასხვა მხარეს მიმოფანტულთ დიდი ხნის უნახაობის შემდეგ ახარებთ ერთმანეთთან შეხვედრა მამისეულ სახლში, სადაც ბავშვობის ძვირფასი წლები გაუტარებიათ, ერთად ურბენიათ ფეხშიშველთ...

ყველაზე გახარებული მაინც მოხუცია, წლიდან წლამდე იგი ამ იმედით და ამ მოლოდინით ცოცხლობს: მოვლენ შვილები თავიანთი ოჯახებით, ერთად გატეხენ პურს, გაცოცხლდება და გამხიარულდება სახლი.

ბედს არ ემდური მოხუცი, ცუდი შვილები არ დაუზრდია, უფროსი ვაჟიშვილი მიხეილ თოფურია სახელოვანი ექიმია, რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების გამგედ მუშაობს; ხიტო აგრონომია და თავის საქმის კარგი ოსტატი; მესამე ძმა—ვასო ცოტა არ იყოს ომმა დაჩაგრა, ცალი ფეხი დაკარგა დიდ სამამულო ომში, მაგრამ ვაჟკაცობა და მხნეობა არ დაუკარგავს. ოჯახს მოეკიდა, შრომობს როგორც შეუძლია და შესანიშნავ შვილებს უზრდის სამშობლოს. ქალიშვილებიც კარგები ჰყავს ევგენის, დათხოვდნენ, დაოჯახდნენ და სანაქებო დედები გახდნენ, მოსწრებული შვილების პატრონები არიან, უფროს ქალიშვილს ქეთოს შვილიშვილებიც ჰყავს.

და როგორ არ გაიხარებს მოხუცი, ერთად შეკრებილს რომ დაინახავს ყველას მშობლიურ ჭერქვეშ, როცა ხედავს როგორ იფურჩქნება და იზრდება, როგორ მრავლდება მისი ფესვი და ნერგი.

და მაინც მისი სიბერის ამ ყველაზე ბედნიერ წუთებშიც მოხუცის ბედნიერება სრული არ არის—მოხუც მამას გული სტკივა და ენაკლულება მეექვსე შვილი—შოთა თოფურია, რომელიც ვერასოდეს ვერ მოვა ამ ოჯახურ დღესასწაულზე. იგი სამამულო ომში დაიღუპა. ევგენი თოფურიას დიდი ოჯახის წევრები სადღესასწაულო სუფრას რომ შემოუსხდებიან, მამის გვერდით ერთი სკამი მუდამ თავისუფალია. ეს შოთას ადგილია. მას სხვა არავინ იკავებს. კედლიდან მისი დიდი სურათი იყურება და ყველა გრძნობს, რომ ის აქ არის, მათ გვერდით,

ოცდაათ წელზე მეტია, რაც იგი წავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. ამ კედლებს, სახლის წინ მდგომ ბებერ კაკლის ხეს ახსოვთ ახალწვერულვაშლილი წარმოსადეგი ჭაბუკი, შავ ქოჩორს ლამაზად რომ იყენებდა. ასეთი ახსოვთ იგი შინაურებს—ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე.

რა დრო გავიდა! დაბერდა ევგენი თოფურია, ჭაღარა შეერია მის შვილებსაც. ის ერთი შოთა დარჩა მარად ჭაბუკი და დაუბერებელი.

ამ გაზაფხულზე ორმოცდაათისა გახდებოდა. და მამას უნდა წარმოიდგინოს იგი ამ ასაკს მიღწეული, მოწიფული, ჭაღარაშერეული ვაჟკაცი, მაგრამ არ შეუძლია. ამას გაიფიქრებს თუ არა, თვალწინ წარმოუდგება ჭაბუკი შვილი, ხელს უქნევს და უღიმის იმ ნაცნობი, საყვარელი ღიმილით, ასე რომ შვენოდა, ლოყებზე, ტუჩის კუთხეებს ზემოთ, პაწია ორმოები უჩნდებოდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გაიწვიეს შოთა საბჭოთა არმიის რიგებში. მაშინ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი იყო, თან მუშაობდა. წასვლისას არ უნახავს მამას, ვერ გააცილა და მერე მოხუცს მუდამ ჭეჭკად ჰქონდა გულში: დედა ცოცხალი რომ ჰყოლოდა, ისე ხომ არ გაუშვებდა, საგზალი რომ არ გაეტანებინაო.

ის-ის იყო არმიაში სავალდებულო სამსახურის ვადა უმთავრდებოდა შოთას, ომი რომ დაიწყო, მაშინ მისი ნაწილი ტულის ოლქში იმყოფებოდა. ასე რომ ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩაება იგი ბრძოლებში.

ომის ქარცეცხლში იგი პოულობდა დროს სანგარში დაეწერა შინ გამოსაგზავნი ბარათები. შემთხვევას არ ჰკარგავდა ხმა მიეწვდინა მამისათვის, დებისა და სხვა ახლობლებისათვის. უფროსი ძმები კი ფრონტზე ეგულებოდა და მათ ამბავს და მისამართებს კითხულობდა. მიშა და ვასო მართლაც მოქმედ არმიაში იყვნენ, ხიტო კი ჯერ ბავშვი იყო — თორმეტიოდე წლისა. სკოლიდან დაბრუნებისთანავე კოლმეურნეობაში გარბოდა სამუშაოდ. მისი ტოლებისა და მოხუცების ამარა იყო ახლა დარჩენილი სოფელი.

შოთას ყველაფერი აინტერესებდა ოჯახისა და სოფლისა, კითხულობდა, მოსავალს როგორი პირი უჩანსო, ფრონტიდან დაჭრილი ხომ არავინ დაბრუნებულაო და ათასი ამგვარი.

თავისას კი თითქმის არაფერს იწერებოდა, გარდა იმისა, რომ კარგადა ვარო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მისი წერილების წამკითხველს, თითქოს ფრონტზე კი არა, სადმე აგარაკზე ყოფილიყოს დასასვენებლად მათი დამწერი.

რაოდენი სულიერი ძალა და ენერგია უნდა ჰქონოდა ჯარისკაცს, რომელსაც ყოველ წუთს სიკვდილი ემუქრებოდა, ასეთი წერილები მოეწერა ფრონტიდან და მშვიდი ტონი ბოლომდე შეენარჩუნებინა.

ასეთი იყო შოთა თოფურია როგორც ჯარისკაცი და მეომარი და ასეთივე დარჩა იგი სიკვდილამდე—მკაცრი, შეუპოვარი და უშიშარი.

მოსკოვის მახლობლად ერთ-ერთ ბრძოლაში შოთა თოფურია მძიმედ დაიჭრა და ერთი თვე ჰოსპიტალში იწვა. გამოჯანმრთელების შემდეგ მეთაურთა მოსამზადებელ კურსებზე გაგზავნეს, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ოფიცერი კვლავ ფრონტს დაუბრუნდა, ამჯერად უკვე ნაღმსატყორცნი ბატარიის მეთაურობა ჩააბარეს 462-ე საარტილერიო დივიზიაში.

აქედან მოყოლებული კვლავ ფრონტის მოწინავე ხაზზეა. მას წილად ხვდა მონაწილეობა მიეღო გადამწყვეტ შეტევითს ბრძოლებში. მონაწილეობდა მოსკოვის მისადგომებიდან მტრის გარეკვაში, კიევისა და უკრაინის სხვა ქალაქების განთავისუფლებაში, აქ, ამ ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით.

1944 წლის იანვრის შემდეგ ევგენი თოფურიას ოჯახში შოთას წერილი არ მოსულა. თებერვალში კი სამხედრო ნაწილიდან ცნობა მიიღეს, დაიღუპაო. ეს მოხდა უკრაინის ფრონტზე ვინიცის ოლქის სოფელ ივანოვოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მალე ოფიციალურ ცნობას მოჰყვა შოთა თოფურიას ფრონტელი ამხანაგებისა და თანამებრძოლების წერილი, რომლითაც ისინი სამძიმარს უცხადებდნენ მამას და იმითაც ანუგეშებდნენ, რომ თქვენი შვილი ნამდვილი გმირი იყო და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზეო.

მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი იყო წერილი, რომელიც მამამ შოთას ფრონტელი მეგობრისაგან სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მიიღო.

აი ეს წერილიც შემოკლებით: „პატივცემულო ევგენი! მე თქვენი შვილის უახლოესი ფრონტელი ამხანაგი ვარ. ჩვენ მთელი ორი წელი ერთმანეთის გვერდით ვიბრძოდით, ერთ ნაღმსატყორცნ ბატარიაზე. ის ჩვენი მეთაური იყო. მე მისი რიგითი მემიზნე.

მე ერთადერთი კაცი ვარ, ვინც თქვენი შვილის უკანასკნელი ამოსუნთქვის მოწმე ვიყავი და იმ წუთიდან მაწუხებდა მოვალეობის გრძნობა მომეწერა ეს თქვენთვის. მაგრამ მიმძიმდა. მიმძიმდა არა მარტო იმიტომ, რომ სამწუხარო ამბავი უნდა მომეწერა (ამას ხომ უჩემოდაც გაიგებდით), არამედ უფრო იმიტომ, რომ მე ვიყავი მისი დაღუპვის მიზეზი, და განა ადვილია უთხრა და შეატყობინო ეს მშობელს?!

ამდენ ხანს ამიტომაც ვერაფერი მოგწერეთ, ახლა კი, როცა დრომ ასე თუ ისე გაანელა დარდი და ტკივილი, მინდა იცოდეთ როგორ მოხდა ეს. როგორ მოკვდა თქვენი შვილი, რომ მე გადავერჩინე.

ეს იყო 1944 წლის 14 იანვარს. მაშინ ჩვენი ნაწილები უკრაინის ტერიტორიიდან დასავლეთისაკენ მიერეკებოდნენ მტერს, ვუტევდით, ვუტევდით განუწყვეტლივ და წინ მივიწევდით, მაგრამ იმ ხანებში ცოტა შევფერხდით და უკანდახევაც კი მოგვიხდა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს შეფერხება მარცხით კი არ იყო გამოწვეული, არამედ სტრატეგიული მოსაზრებით: გერმანელთა მთელი დივიზია ალყაში უნდა მოგვექცია, ამიტომ ჩვენს შენაერთს უკანდახევა მოუხდა, რომ წინწაწეული სხვა ჩვენი ნაწილებისათვის საშუალება მიეცა გადაესწრო და გზა მოეჭრა მტრისათვის.

იანვრის სუსხიანი დღე იყო, ჭინავნავდა. ჩვენი ბატარია პატარა ბორცვზე იყო გამაგრებული და კარგად შენიღბული. მთელი სამი დღის განმავლობაში ამ ადგილიდან ფეხი არ მოგვიცვლია, აქედან ვუშენდით გერმანელებს. იმ საბედისწერო დღეს, ეტყობა მტერმა შეგვნიშნა, საარტილერიო ცეცხლი დაგვიშინა. ერთი ყუმბარა ჩვენგან რამდენიმე მეტრზე დაეცა. ნამსხვრევმა ერთი ბატარეისტი იქვე მოგვიკლა, მე მძიმედ დავიჭერი. ბარძაყის ძვალი დამიჩეჩქვა ყუმბარის ნამსხვრევმა, ერთი ჭრილობაც მკლავში მქონდა. არც წამოდგომა შემეძლო, არც ხოხვა. ამ ყოფაში რომ ვიყავი, სწორედ ამ დროს მოვიდა უკანდახევის ბრძანება. ჩემი საქმე წასულია-მეთქი, გადავწყვიტე და ვინატრე ბარემ მოვეკალი-მეთქი იმ ტყვიას. კარგად ვიცოდი, ახლა მე ზედმეტი ბარგი ვიყავი თანამებრძოლებისათვის და ვთხოვე მათ ჩემთვის დრო არ დაეკარგათ (ვერ გავბედე მეთხოვა, ერთ ტყვიას ნუ დაიშურებთ-მეთქი—მტრის ხელში ჩავარდნას ყველაფერი მერჩია).

ეს რომ ვთქვი, მეთაურმა — თქვენმა შვილმა კუშტად შემომხედა. მერე ბრძანება გასცა ნაღმსატყორცნი სწრაფად მოეშორებინათ იქაურობისათვის, თვითონ კი მე მომვარდა, ჭრილობები სახელდახელოდ შემიხვია, მერე მოკლულ ბატარეისტს შინელი გახადა, რაღაც მარხილისმაგვარი გააკეთა და ფერდობზე ფრთხილად დამაცურა.

უცებ თითქმის გონმიხდილმა ვიგრძენი, რომ რაღაც მძიმე, რბილი საგანი დამაწვა... მივხვდი, ეს შოთა იყო, მოარტყეს. ახლა ის ჩემს გვერდით იწვა და ჩურჩულებდა: „ანატოლი, ანატოლი, ცოცხალი ხარ?.. არ შეშინდე, როგორმე გავაღწევთ“... მერე მან ერთი ღრმად ამოისუნთქა და დადუმდა.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიწექით ერთად, ის მკვდარი, მე ცოცხალი—მისი ხელით გადარჩენილი... მეორე დღეს გონს რომ მოვედი, უკვე ჰოსპიტალში ვიყავი. ჭრილობებზე უფრო მაწუხებდა მწვავე გულისტკივილი—ის ჩემი გულისთვის მოკვდა, მე კი იმდენიც ვერ შევძელი, სამარე მაინც გამეთხარა მისთვის და საფლავი დამენიშნა. ახლაც არ ვიცი, სად არის დასაფლავებული...

მაპატიეთ, თუ ამ წერილით გული გატკინეთ, მიმძიმდა, მაგრამ არ შემეძლო არ მომეწერა. მე ხომ მთელი სიცოცხლით ვარ დავალებული თქვენი შვილისაგან.

ანატოლი გარბუნოვი“.

ამას წინათ სოფელ კაპანაში მოხუცის სახელზე კიდევ ერთი წერილი მოვიდა უკრაინიდან. კვალმაძიებელთა ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩეკუტინი მამას სწერს, რომ უკრაინის მიწაზე ვინიცის რაიონის სოფელ ივანოვკაში ნაპოვნია თქვენი შვილის უფროსი ლეიტენანტის შოთა ევგენის-ძე თოფურიას საფლავი, ადგილობრივი მცხოვრებლები სათუთად უვლიან გმირის საფლავსო. მიიღეს თუ არა წერილი, ევგენის შვილებმა და შვილიშვილებმა გადაწყვიტეს ამ გაზაფხულზე მოინახულონ შინმოუსვლელი ძმისა და ბიძის საფლავი, რომელიც დაკარგული ეგონათ.

არა, არ დაკარგულა. ხალხი არ დაკარგავს, არ დაივიწყებს თავის შვილებს, რომლებიც სამშობლოს სიკეთესა და ბედნიერებას შეეწირნენ.

მოხუცმა იცის ეს, ამან გადაატანინა შვილის დაკარგვით გამოწვეული დიდი მწუხარება, იცის, რომ მისი შვილისა და მრავალი მათი თანამებრძოლის გმირობით, რაც მათ სიცოცხლედ დაუჯდათ, დავალებულია მთელი ჩვენი თაობა და მომავალი თაობებიც, იცის, რომ ცეცხლი, რომელიც თოფურიების მამაპაპეულ კერაზე ანთია, სწორედ მათ, ომიდან შინმოუსვლელებმა გადაარჩინეს ჩაქრობას.

მ. მიქაძე.

□ □ □

ფრონტელი მეგობრების შეხვედრა

ამას წინათ ქალაქ ხარკოვის ელექტროსამართებლების ქარხნის ტექნიკოსი პავლე იაკობის-ძე ჩეპელი სამკურნალოდ და დასასვენებლად იყო ჩამოსული წყალტუბოში. მან გაიხსენა და თერჯოლის სამხედრო კომისარიატის საშუალებით მოძებნა თავისი ფრონტელი მეგობარი, რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე, სოფელ სიქთარვის მცხოვრები გიორგი ვლადიმერის-ძე ცხადაძე.

ისინი მთელი ორი წლის განმავლობაში მხარდამხარ იბრძოდნენ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის განთავისუფლებაში.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მებრძოლები მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდნენ. უკრაინელმა პ. ჩეპელმა ომის შემდეგ ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ხარკოვის ელექტროსამართებლების ქარხანაში, ხოლო თერჯოლელმა გ. ცხადაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა.

გიორგი ცხადაძემ სტუმარი ოჯახში მშობლიურ სოფელ სიქთარვაში მიიწვია, იქ ბევრი საბრძოლო ეპიზოდები გაიხსენეს და კვლავ მალე შეხვედრის იმედით დაშორდნენ ერთმანეთს.

ვ. კუტალაძე.

სია—მატიანე...

გეგეჭკორი. (საქ. კორ.). დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, სოფელ ნაგვაზაოდან ყველა ჯანსაღი მამაკაცი საომრად გაეშურა. იარაღი აისხეს სურმავებმა, ჯღარკავებმა, სილაგავებმა, კვანტალიანებმა, გვაზავებმა და სხვ. ბევრი მათგანი შინ ვეღარ დაბრუნდა. სწორედ მათი — შინმოუსვლელების სია არის შედგენილი სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. სია-მატიანე გვაცნობს იმათ, ვინც თავი დადო სამშობლოსათვის. სულ სოფელმა დაჰკარგა ორასამდე კაცი.

ნაგვაზაოელი მშრომელები სათუთად ინახავენ შინმოუსვლელთა სახელებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლგოგრადი. სტალინგრადთან ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების 25 წლისთავზე მამაის ყორღანზე აღმართული ძეგლი-ანსამბლი.
ფოტო ი. ცქვიტინიძისა.

შეხვედრა ვეტერანებთან

დუშეთი. (საქ. კორ.). კულტურის სახლის დარბაზში რაიონის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დიდი სამამულო ომის გმირებს, ცნობილ ქართველ გენერლებს გ. ყურაშვილს და ნ. თავართქილაძეს, შეხვედრაზე მოვიდნენ მოსკოვის დაცვის მონაწილე, ერთ-ერთი დივიზიის ყოფილი მეთაური თადარიგის პოლკოვნიკი გ. კალანჩაძე, საბჭოთა კავშირის გმირები ზ. ხიტალიშვილი და ა. ბირმისაშვილი.

შეხვედრა გახსნა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. არუთინოვმა. მოხსენება თემაზე — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება — წაიკითხა რაიონის სამხედრო კომისარმა თ. ავალიშვილმა. დარბაზში მყოფნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ძვირფასი სტუმრების გამოსვლებს, რომლებმაც მოიგონეს მრავალი საბრძოლო ეპიზოდი, რაც მათ დიდი სამამულო ომის ცეცხლოვან დღეებში გადახდათ.

საბრძოლო დიდების ოთახი

ორჯონიკიძე. (საქ. კორ.). მრავალ მნახველს იზიდავს საბრძოლო დიდების ოთახი, რომელიც პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მოეწყო. შინმოუსვლელთა სტენდის შუაგულშია ორჯონიკიძის რაიონის მკვიდრების — ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირების შ. გამცემლიძისა და ვ. ლეჟავას სურათები. აქვეა შინმოუსვლელი ვაჟკაცების ვ. ფოფხაძის, თ. შაფათავას, კალენიკე და დიმიტრი მესხების, ვლ. შერგილაშვილის, მიხეილ და კონსტანტინე ხარაძეების, ე. ინწკირველის და სხვ. ფოტოები.

მეორე კედელზე გამოფენილია დაბა ორჯონიკიძის მკვიდრთა სურათები. ისინი მკერდით იცავდნენ სამშობლოს, დიდების შარავანდედით შემოსეს საბჭოთა იარაღის მრისხანე ძალა, დაუბრუნდნენ თავიანთ კერას და მშვიდობიანად შრომობენ.

ცალკე სტენდზე ასახულია პიონერთა და მოსწავლეთა სახლის აქტივისტების შეხვედრები რაიონის სახელოვან შვილებთან.

აქვეა საინტერესო ალბომები, ომის გმირთა საბრძოლო ეპიზოდები, ლიტერატურა სამამულო ომზე.

ფოტოსტენდი უკვდავყოფს

ნახურცილაო პატარა სოფელია გეგეჭკორის რაიონში. დიდ სამამულო ომში ამ სოფლის ორასამდე მკვიდრი იცავდა სამშობლოს. მრავალი ვაჟკაცი დაეცა გმირული სიკვდილით, ვეღარ დაუბრუნდა თავის კერას.

შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად ნახურცილაოს რვაწლიანი სკოლის დირექციამ მოაწყო შინმოუსვლელთა ფოტოსტენდი. ხალხი არ ივიწყებს მამაც ადამიანებს.

შ. ხარებავა.

„აცტეკი“ სტუმრებს მოელის

მსოფლიოს პირველობის ფინალურ ტურნირამდე არც თუ დიდი დრო დარჩა, მექსიკა ფეხბურთელთა დიდი ფორუმის მოლოდინშია. 30.000-ზე მეტი ტურისტი ეწვევა მეხიკოს. მატჩებს ნახავს 700 მილიონზე მეტი ტელემაყურებელი, ოქროს ქალღმერთისათვის ბრძოლას გააშუქებენ 75 ქვეყნის 250-ზე მეტი გაზეთისა და ჟურნალის წარმომადგენლები, რომლებიც აკრედიტებული იქნებიან პრეს-ცენტრში, აგრეთვე ტელევიზიისა და რადიოს მრავალი კომპანია.

ყველაზე ადრე მექსიკას ბრაზილიელები ეწვივნენ. ისინი იმყოფებიან გვადალახარაში, სწორედ იქ, სადაც მეოთხედფინალში გასვლისათვის დიდი დავა ექნებათ ინგლისის, ბრაზილიის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებს. ადგილობრივი პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ბრაზილიელთა მზადებას. ვარაუდობენ, რომ ჩემპიონი უნდა გახდეს ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები — მექსიკა თუ არა, ბრაზილიელთა გუნდი მაინც. ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელთა ინტერვიუებში ნათქვამია, რომ ისეთი გუნდის დაკომპლექტება, რომელმაც 1958 წელს შვეციაში ჩემპიონობა მოიპოვა, რა თქმა უნდა ძნელია, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა ბევრად უკეთესია, ვიდრე 1966 წლის ინგლისის ჩემპიონატში.

თვითმფრინავი, რომელსაც პერუს გუნდი მოჰყავდა, მხოლოდ 45 წუთით დაეშვა მექსიკის დედაქალაქის აეროდრომზე, შემდეგ კი კურსი ლოს-ანჯელესისაკენ აიღო. პერუელთა მწვრთნელს, ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს დიდის, კორესპონდენტებისაგან რომ თავი დაეღწია არც კი გამოსულა თვითმფრინავიდან. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ გაზეთში მაინც გამოჩნდა ადრინდელი ინტერვიუ, სადაც პერუელთა მწვრთნელი აცხადებს, ბრაზილიელებს ჩემპიონობის დაბრუნების არავითარი შანსი არა აქვთ და შესაძლოა უძლიერესთა ოთხეულშიც კი ვერ მოხვდნენო. ამის მიზეზად პირველ რიგში დიდი ასახელებს მწვრთნელის შეცვლას, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მოთამაშეებზე. ერთადერთი გუნდი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, რომელსაც შეუძლია ნახევარფინალამდე მიაღწიოს, ეს პერუს გუნდიაო.

ბრაზილიელების შემდეგ მექსიკაში ჩავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონები — ინგლისელი ფეხბურთელები. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით ინგლისელებს შეუძლიათ შეინარჩუნონ უმაღლესი ტიტული. თვით ინგლისელებს კი ისე უჭირავთ თავი მეხიკოში, რომ ჟიულ რიმეს თასი თითქოს ხელში უჭირავთ. მწვრთნელმა ა. რამსეიმ განაცხადა, რომ მისი ახლანდელი გუნდი უფრო ძლიერია, ვიდრე 1966 წლის ჩემპიონატში. როდესაც ა. რამსეის შეეკითხნენ, თქვენი გუნდი მეტისმეტად ხანდაზმული ხომ არ არისო, მან მხრები აიჩეჩა და უპასუხა: „მე ყურადღებას არ ვაქცევ ასაკს, მაინტერესებს მხოლოდ მოთამაშის ფორმა“.

დიდი ინტერესით მოელიან საბჭოთა კავშირის ნაკრებს. მექსიკაში აქვეყნებენ საბჭოთა ფეხბურთელების უკანასკნელი გამოსვლების ანგარიშებს, მაგრამ თავს იკავებენ სსრ კავშირისა და მექსიკის ნაკრებთა 31 მაისის შეხვედრის პროგნოზისაგან. მექსიკელებმა ბოლო მატჩებში ორჯერ დაამარცხეს ეკვადორის საკლუბო გუნდი „ამერიკა“ 4:2, 3:2.

დიახ, მექსიკაში ფეხბურთის ციებცხელებაა. მეხიკოს „აცტეკის“ სტადიონი, რომელიც 108 ათას მაყურებელს იტევს, სტუმრებს მოელის.

ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა

გუშინ ბულგარეთიდან სამშობლოში დაბრუნდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. როგორც ცნობილია, საბჭოთა ნაკრებმა შვეიცარიის გუნდთან, შემდეგ საფრანგეთის „ბორდოსთან“ და ბოლოს ორჯერ ბულგარეთის ნაკრებთან 4 მატჩი გამართა. საერთო ანგარიშია 7:4 ჩვენი ფეხბურთელების სასარგებლოდ.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა გ. კაჩალინმა განაცხადა, რომ მან შეძლო ნაკრების ყველა წევრის შემოწმება და ფიქრობს, რომ ყველა 22 ფეხბურთელი ვინც ბულგარეთში იყო, მიიღებს მექსიკის საგზურს. 10 მაისს საბჭოთა ფეხბურთელები ოკეანის გაღმა გაემგზავრებიან, საერთაშორისო მატჩებს გამართავენ კოლუმბიასა და ეკვადორის გუნდებთან, ხოლო შემდეგ მექსიკას ეწვევიან.

მატჩები და შედეგები

გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი და მეორე ჯგუფის გუნდებისათვის.

რიგაში შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ „დაუგავასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებს. წარმატება მასპინძლებს ხვდათ ანგარიშით 1:0. როგორც ვხედავთ ლოკომოტიველთათვის გასვლითი თამაში არასახარბიელო აღმოჩნდა, მათ სამი შეხვედრიდან სამივე წააგეს, მეტოქეთა კარში მხოლოდ 1 ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი შვიდი ბურთი მიიღეს.

მეორე ჯგუფის გუნდების ასპარეზობაში ბათუმის დინამოელებმა ქალაქ კალინინში მოუგეს ადგილობრივ „ვოლგას“ 1:0, ხოლო რიბინსკში „სატურნისა“ და გორის „დილას“ მატჩი დამთავრდა რიბინსკელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 2:1.

ორი ყაიმი ფინიშთან

ზაგრებში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. როგორც ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერმა რ. ფიშერმა ჯერ კიდევ ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მაგრამ ყურადღებას იპყრობდა მისი ვ. კორჩნოისთან გადადებული პარტია, აგრეთვე უკანასკნელი ტურის შეხვედრა მსოფლიოს ექსჩემპიონთან ტ. პეტროსიანთან. ორივე ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, რ. ფიშერმა 17 შესაძლებლიდან 13 ქულა შეაგროვა და გაიმარჯვა. მომდევნო ოთხი ადგილი გაიყვეს ვ. სმისლოვმა, ვ. კორჩნოიმ, ს. გლიგორიჩმა და ვ. ჰორტმა, რომლებმაც 11-11 ქულა შეაგროვეს. ტ. პეტროსიანმა 10,5 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა.

ჭადრაკის მერიდიანებზე

გუშინ მოსკოვიდან ვენაში გაემგზავრა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი. მის შემადგენლობაში არიან გროსმაისტერები — ე. გელერი, ა. გიპსლისი, პ. კერესი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი, რ. ხოლმოვი, ლ. შტეინი და ახალგაზრდა მოსკოველი მოჭადრაკე ი. ბალაშოვი. მათ უნდა შეუერთდნენ ამჟამად ზაგრებში მყოფი ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი, ვ. კორჩნოი. საბჭოთა გუნდი მონაწილეობას მიიღებს ევროპის მეოთხე ჩემპიონატში. გარდა საბჭოთა გუნდისა, პირველობაზე გამოვლენ იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიისა და ესპანეთის გუნდები.

ლეიდენში ოთხი გროსმაისტერის მიკროტურნირის დამთავრებამდე მხოლოდ ერთი ტური დარჩა. ლიდერობას კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი ბ. სპასკი ინარჩუნებს, რომელსაც 11-დან 6,5 ქულა აქვს. იან-ჰეინ დონერს (ჰოლანდია) 5,5 ქულა აქვს, მ. ბოტვინიკსა და ბ. ლარსენს (დანია) — ხუთ-ხუთი ქულა.

კომუნისტი სპორტი

მათ ასახელეს დედაქალაქი



გაზეთმა „თბილისმა“ გამოსცა

დიდი ხანია გადაიქუხა ომის უკანასკნელმა ზალპებმა. ადამიანებს, ქვეყნებს, ქალაქებს მოუშუშდათ ომით მიყენებული ჭრილობები. მაგრამ ხალხი არ ივიწყებს იმათ, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა ფაშისტური ურჩხულის წინააღმდეგ. არ ივიწყებენ იმათ, ვინც თავიანთი სიცოცხლის ფასად, თავიანთი სისხლით მოიპოვა ეს უზარმაზარი გამარჯვება. ამიტომ გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ თავიანთ მკითხველებს კარგი საჩუქარი მოუმზადა. ხვალ გაზეთთან ერთად მკითხველები მიიღებენ ფერებში [illegible] გაკეთებულ სამახსოვრო ბუკლეტს — „საბჭოთა კავშირის გმირები ქალაქ თბილისიდან“.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ბუკლეტით ვეცნობით, რომ მარტო ქ. თბილისში სხვადასხვა ეროვნების 46 საბჭოთა კავშირის გმირია. ეს ყველა თბილისელისათვის ნამდვილად საამაყოა. სამახსოვრო ბუკლეტში დაბეჭდილია დ. ბაქრაძის, ს. ასლამაზიშვილის, ქ. გავრილოვის, მ. გახოკიძის, ი. გვენცაძის, ა. გურგენიძის, ბ. ზუმბულიძის, ა. გიგიშიძის, ს. ვოლხოვსკის, გ. თვაურის, გ. ინასარიძის, ი. იოსელიანის, ე. კობერიძის, ვ. ლურსმანაშვილის, ი. ინდრიაკოვის, კ. სიმონიანის, ა. სოტნიკოვის, ვ. ნანეიშვილის, ა. პირმისაშვილის, ი. სოროკინის, ბ. სურამელაშვილის, ვ. ტარანოვსკის, კ. ტყაბლაძის, კ. უკლებას, შ. შურღაიას, გ. უდალცოვის, გ. შენგელიას, პ. წიქორიძის, ზ. ხიტალიშვილის, ვ. ჯანჯღავას, ი. ციციშვილის, ბ. წულუკიძის, დ. ჯაბიძის, თ. ჯაფარიძის სურათები. აქვე არიან გარდაცვლილი საბჭოთა კავშირის გმირები: გ. ბახტაძე, გ. ბილანიშვილი, შ. გამცემლიძე, ს. გრიგორიანი, ვ. კანკავა, ვ. ლეჟავა, ა. მებაღიშვილი, დ. მერკვილაძე, ხ. ოქანოვი, ა. ტერტაძე, თ. ჩიჩილაშვილი, ვ. ჩიქოვანი.

სამშობლოს სასახელო შვილებისადმი მიძღვნილი ბუკლეტის გამოცემით გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ კარგი საქმე გააკეთა.

რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

რადიო

9 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული საორკესტრო პიესები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.00 — „ქვეყანა ზეიმობს გამარჯვების დღეს“. უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.00 — „ქვეყანა ზეიმობს გამარჯვების დღეს“. უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 11.05 — ქართული რომანსები, 11.45 — ა. ბალანჩივაძე. პირველი სიმფონია, 12.30 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „გამარჯვების მაისი“, 13.00 — საუბარი „ქართველები დიდ სამამულო ომში“, 13.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 14.00 — გ. ნატროშვილი. ორი ნოველა, 14.30 — თ. ბიბილური. „მრისხანე კაცი“. მუსიკალური მოთხრობა, 15.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ (ნაწილი პირველი), 15.45 — ბასნერი. მუსიკა კინოფილმ „ადამიანის ბედიდან“, 16.00 — „ქვეყანა ზეიმობს გამარჯვების დღეს“. უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 16.15 — კონცერტი დიდი სამამულო ომის მონაწილეთა თხოვნით, 17.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი. „ჩემი სამშობლოს ველებზე“, 19.00 — ახალგაზრდობისათვის. რადიოკომპოზიცია „ისინი ოცი წლისანი იყვნენ“, 19.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.50 — „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულთა სპეტაკ ხსოვნას“. დუმილის წუთი (მოსკოვი), 20.10 — „ქვეყანა ზეიმობს გამარჯვების დღეს“. უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — სიმღერები ე. გვაზავასა და ც. ციცქიშვილის შესრულებით, 20.50 — მარშები, 21.15 — დ. შოსტაკოვიჩი. „ლენინგრადული სიმფონია“, 22.50 — მღერის ლ. ზიკინა, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

8 მაისი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1944 წელი (ქართულ ენაზე), 12.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი“, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — გამარჯვების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — მანევრები „დვინა“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

8 მაისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე; რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სამანიშვილის დედინაცვალი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მთვარის მოტაცება; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეცხრე ტალღა; მოზარდ მაყურებელთა ქართული — სკაპენის ოინები (№ 22 აბონ. დღის 3 ს. № 38 აბონ. საღამოს 6 ს.); თოჯინების ქართული — უცნაური მღვიმე (11 ს. 113-ე სკოლა. 1 ს. მე-10 სკოლა).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08184 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.